გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 75

2020 წლის 12 ივნისი
ქალაქი გორი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს (ს/კ 418469516) 2019 წლიდან მიმდინარე პერიოდამდე ფინანსური და გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს 2020 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს (ს/კ 418469516) 2019 წლიდან მიმდინარე პერიოდამდე ფინანსური და გაწეული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს (ს/კ 418469516) 2019 წლიდან მიმდინარე პერიოდამდე ფინანსური და გაწეული საქმიანობის ანგარიში. თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

GORI MUNICIPALITY COUNCIL 218066087

ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტო"

(2019 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში)

2019 წლის დასაწყისში, სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად შემუშავდა ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს" 2019 წლის სამოქმედო გეგმა: განისაზღვრა განსახორციელებელი საქმიანობები, ინდიკატორები, არსებული და მისაღწევი შედეგები, განხორციელების რისკები, სამუშაოს შესრულების ვადები და მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. ასევე, გორის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებული 2019 წლის საშტატო განრიგის საფუძველზე, გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები; განახლდა სააგენტოს თანამშრომელთა მონაცემთა ბაზა.

მიმდინარე სამუშაოების შესრულების მონიტორინგის მიზნით, სააგენტოს თანამშრომლების მიერ პერიოდულად ხორციელდება გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მომზადება - ანგარიშის წარდგენა.

ფინანსური საქმიანობა

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს 2019 წლის ბიუჯეტი დაგეგმვის პროცესში განსაზღვრული იყო, როგორც გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დამტკიცებული სუბსიდია. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცდა 2019 წლის ასიგნება 306 000 ლარის ოდენობით. 2019 წლის იანვარში გორის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმდა და დირექტორის მიერ დამტკიცდა 2019 წლის საშტატო განრიგი და ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში. საშტატო განრიგი განისაზღვრა 18 საშტატო ერთეულით, თანამდებობრივი სარგო - 153120 ლარით. თებერვლის თვის დასაწყისში, პირადი განცხადებების საფუძველზე, გათავისუფლდა 5 თანამშრომელი (ტურისტული განვითარების სააგენტოს თანამშრომლები) და მათი თანამდებობრივი სარგო 18900 ლარი. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით მოკვეთა დამტკიცებულ ასიგნებას და განისაზღვრა - 287200 ლარით. შესაბამისად. საშტატო ერთეულების რაოდენობა შემცირდა და შეადგინა 13 საშტატო ერთეული.

2019 წლის გადარიცხვითი ოპერაციები განხორციელებულია კანონმდებლობის შესაბამისად.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს მიერ 2019 წელს მუხლობრივად გაწეული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად (დაწვრილებით იხ. დანართი N 1) :

1. შრომის ანაზღაურების მუხლში (საშტატო განრიგის მიხედვით) დაიხარჯა - 131443.55ლარი;
2. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში დაიხარჯა - 102795.22ლარი;
3. მივლინების მუხლში ქვეყნის შიგნით - 609 ლარი;
4. მივლინების მუხლში ქვეყნის გარეთ - 3371.17 ლარი;
5. ოფისის ხარჯის მუხლში - 10403,53 ლარი;
6. ტრანსპორტის დაქირავების მუხლში - 1833,42 ლარი;
7. სოციალური დახმარების მუხლში - 273,68 ლარი;
8. წარმომადგენლობით მუხლში - 2283 ლარი.

საპენსიო სქემიდან გასვლის გამო შტატით მომუშავეთა 3 თანამშრომელს და შტატგარეშე მომუშავეთა 3 თანამშრომელს სოციალური მომსახურების სააგენტოდან დაუბრუნდათ კუთვნილი ხელფასიდან დაკავებული (4 თვის) თანხა, სულ - 324 ლარი, (რაც არ არის გათვალისწინებული ზემოთ ჩამოთვლილ მუხლებში) აქედან:

- შტატით მომუშავეთათვის - 204 ლარი
- შტატგარეშე მომუშავეთათვის - 120 ლარი

მიმდინარე საქმიანობებიდან და თანამშრომელთა საჭიროებებიდან გამომდინარე, სააგენტომ შეისყიდა კომპიუტერული ტექნიკა :

4 ცალი ლეპტოპი - 4 818 ლარი; 1 ცალი პერსონალური კომპიუტერი - 1 329 ლარი; სულ - 6147 ლარი. აქედან - 800 ლარი დაიხარჯა საკუთარი სახსრებიდან, ხოლო - 5 347 ლარი საბიუჯეტო სახსრებიდან.

სააგენტომ ძირითადი აქტივების სახით შეიძინა 1 ცალი ჰაერის კონდენციონერი - 1400 ლარი და ასევე არამატერიალური აქტივის სახით - ვებგვერდი, რომლის დამზადების საფასურმაც შეადგინა - 3 000 ლარი.

ორგანიზაციის ბიუჯეტიდან დაფინანსდა ბოლესლოვოვოს ბიზნესკვირეულში მონაწილე გორში მცხოვრები 4 მოსწავლე-ახალგაზრდას მგზავრობის (ავია ბილეთები) ხარჯი, სულ - 2 300 ლარი. ასევე, ორგანიზაციის ბიუჯეტიდან დაფინანსდა ქართულ- პოლონური გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მონაწილე გორში მცხოვრები 10 ახალგაზრდასთვის მგზავრობის (ავია ბილეთები) ხარჯი, სულ - 4 145 ლარი. აქედან, სუბსიდიის ფარგლებში დაიხარჯა - 2 600 ლარი, ხოლო - 1 545 ლარი დაიხარჯა საკუთარი სახსრების წყაროდან.

2018 წელს ორგანიზაციას დარჩა გადასახდელი ვალდებულებები - 5 222 ლარის ოდენობით აქედან:

1. არაფინანსური აქტივების - 4 500 ლარი
2. საქონელი და მომსახურების მუხლში - 722 ლარი

აღნიშნული დავალიანებები დაიფარა 2019 წლის დამტკიცებული სუბსიდიის ფარგლებში.

2019 წლის ბიუჯეტიდან დაიფარა კომუნალური გადასახადები და შესყიდულ იქნა საჭირო საოფისე ნივთები (საკანცელარიო ნივთები, საბეჭდი ქაღალდი, CD დისკები და სხვა ანალოგიური მასალები).

2017 – 2018 წლებში გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებების საფუძველზე ქვემოთ ჩამოთვლილ მოიჯარეებს დარჩათ გადასახდელი საიჯარო თანხები, სულ - 960 ლარი, მათ შორის:

1. პაატა კოლიაშვილს - 410 ლარი
3. ნიკოლოზ ვართუმაშვილს - 330 ლარი
6. ანატოლი ცოტაძეს - 220 ლარი

საკუთარი შემოსულობების ფარგლებში, სააგენტომ მიიღო გრანტი ევროკავშირის Erasmus+ პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის: "ახალგაზრდების გაძლიერება განათლების გზით" განსახოციერლებლად. მარტის თვეში ჩაირიცხა პირველი ტრანში 8428,49 ლარი, ხოლო ივლისის თვეში მეორე ტრანში - 9142,44 ლარი, რაც გაიწერა მუხლობრივად და ეცნობა გორის მუნიციპალიტეტის მერიას.

2019 წლის ბიუჯეტი მაქსიმალურად პასუხობდა მოთხოვნილებებს. თანხების ხარჯვა ხორციელდებოდა წინასწარ დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად და გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად.

შესყიდვები

2019 წლის დამტკიცებულ შესყიდვების წლიურ გეგმაში განხორციელდა ცვლილებები, რის შემდგომაც 2019 წლის 18 დეკემბრის დაზუსტებული შესყიდვების წლიური გეგმა შეადგენდა - 3 0595 ლარს. აღნიშნული ცვლილებები დაკავშირებული იყო აუცილებელ შესყიდვებთან, რომელიც არ იყო გათვალისწინებული 2019 წლის დამტკიცებული გეგმით.

2019 წლის დაზუსტებული წლიური შესყიდვის გეგმით გათვალისწინებული იყო ორი კონსოლიდირებული შესყიდვა, CMR190073958 - 1 (ერთი) პერსონალური კომპიუტერი, CMR190073957 – 4 (ოთხი) ცალი ლეპტოპი, რომელიც განხორციელდა მიმდინარე წლიური გეგმით.

2019 წლის მე-3 და მე-4 კვარტალში არ განხორციელებულა კონსოლიდირებული შესყიდვა.

2019 წელს არ ჩატარებულა არც ერთი ტენდერი. კონსოლიდურებული შესყიდვების გარდა დანარჩენი შესყიდვები განხორციელდა გამარტივებილი წესით, რადგან მთლიანი წლიური CPV_ოდენობა არ აღემატებოდა 5000 ლარს (ზღვარს).

2019 წლის განმავლობაში გამარტივებული შესყიდვის წესით განხორციელებული შესყიდვების (დადებული ხელშეკრულებები) რაოდენობა არის 52, ჯამში 19817,5 (ცხრამეტიათასრვაასჩვიდმეტი ლარი 50 თ) ლარის ღირებულების.

საქმისწარმოება

2019 წელს დაიწყო დოკუმენტაციის ახალი რეესტრის წარმოება, რომლის მიხედვითაც, 2019 წელს სააგენტოში შემოსულია 387 (სამას ოთხმოცდაშვიდი) წერილი, გასულია 325 (სამას ოცდახუთი) წერილი, გამოცემულია 264 (ორას სამოცდაოთხი) ბრძანება. თითოეული მათგანი გატარდა სათანადო წესით და გადაეცა შესაბამის თანამშრომელს შემდგომი რეაგირებისთვის. ასევე უზრუნველყოფილ იქნა თანამშრომელთა სამივლინებო დოკუმენტაციის მოწესრიგება და შემდგომში ბუღალტერისთვის გადაცემა. პერიოდულად ხორციელდებოდა დაინტერესებული მხარეების მოთხოვნის შესაბამისი საჯარო ინფორმაციის მომზადება და გაცემა;

მიმდინარეობდა სააგენტოს საარქივო დოკუმენტაციის სისტემატიზაცია და დაარქივება სათანადო წესის დაცვით. სააგენტომ ასევე დაიწყო გასული წლების დოკუმენტაციის ელექტრონული არქივის შექმნა და მიმდინარე სამუშაოებისას შექმნილი მასალის ელ. ვერსიების შეგროვება. დაარქვებული და ელექტრონულად აღნუსხულია 2012, 2013, 2014, 2015, 2016, 2017, 2018 წლების დოკუმენტაცია.

აქტივობები

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტო 2019 წელს მოქმედებდა სააგენტოს წესდებით გაწერილი მიზნის და ამოცანების შესაბამისად, კერძოდ:

- გორის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს ევროკავშირის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" საპილოტე პროექტს: „ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება მდგრადი ზრდისთვის." პროექტის განსახორციელებლად ევროკავშირმა გამოყო 1 800 000 ლარი, გრანტის სახით. პროექტის მთლიანი ბიუჯეტი 2 087 991, 36 ლარია, გორის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსება 287 991, 36 ლარს შეადგენს. გორის მუნიციპალიტეტი შეირჩა ევროკომისიის მიერ, ევროკავშირის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" საგრანტო კონკურსის ფარგლებში. პროექტის ხანგრძლივობა შეადგენს 36 თვეს და მისი განხორციელება 2021 წელს დასრულდება. პროექტის მიზანი ადგილობრივი ეკონომიკური

შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობაა მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის. პროექტი ითვალისწინებს ტურიზმის სექტორში ჩართული მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელთა მხარდაჭერას მათთვის ახალი შესაძლებლობების შექმნის, მათი უნარების გაძლიერებისა და კერძო და საჯარო სექტორს შორის თანამშრომლობის დამყარების გზით. ასევე, ტურისტული ბიზნესით დაკავებული ან/და დაინტერესებული ახალგაზრდების/სტუდენტების უნარების გაძლიერებას, რათა გაიზარდოს მათი დასაქმების შესაძლებლობები. პროექტის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა გორის მუნიციპალიტეტის უფრო მიმზიდველ ადგილად გადაქცევა ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გზით, რათა გაიზარდოს ტურისტთა რაოდენობა და ინვესტიციები ტურიზმის სექტორში.

პროექტის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი საქმიანობები: „გამარჯვების მემორიალის" (ლომჭაბუკი) სკვერისა და სკვერში არსებული საგამოფენო სივრცის რეაბილიტაცია, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის გახსნა, პარკინგისა და სანიტარული ობიექტის მოწყობა, ქალაქის ცენტრსა და ისტორიულ ნაწილში ველობილიკების, გასაჩერებელი ადგილებისა და ველოსიპედების გაქირავების სერვისის შექმნა, სუვენირებისა და სხვა ადგილობრივი პროდუქტის სარეალიზაციო სივრცის შექმნა, გორის ეთნოგრაფიული მუზეუმში ეროვნული საკვებისა და ხელნაკეთობების დამამზადებელი სახელოსნოების მოწყობა, შემუშავდება სტაჟირებისა და ტრენინგების მოდულები ახალგაზრდებისთვის/სტუდენტებისთვის და ბიზნესის წარმომადგენლებისთვის, შეიქმნება სატრენინგო სივრცეები, სტუდენტებს მიეცემათ სტაჟირების საშუალება, განხორციელდება ტრენინგ-კურსები ახალგაზრდებისთვის /სტუდენტებისთვის და ბიზნესის წარმომადგენლებისთვის, შეიქმნებაბიზნეს კონსულტირების სერვისი, რომლით სარგებლობაც უფასოდ იქნება ხელმისაწვდომი პროექტის განმავლობაში.

გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტო, როგორც ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ავტორი და კოორდინატორი, აქტიურად არის ჩართულნი აღნიშნული პროექტის განხორციელების პროცესში.

2019 წლის პირველ კვარტალში მომზადდა პროექტის პირველი შუალედური თხრობითი და ფინანსური ანგარიში და წარედგინა ევროკავშირის წარმომადგენლობას საქართველოში. გარდა აღნიშნულისა, ყოველი თვის ბოლოს იგზავნება მოკლე ანგარიში პროექტის მიმდინარეობის შესახებ.

შუალედური ანგარიშის წარდგენის და ევროკავშირის წარმომადგენლობასთან ადგილობრივ წარმომადგენლობასთან აქტიური კომუნიკაციის შემდგომ, ჩაირიცხა საგრანტო თანხის მეორე ტრანში. ამჟამად, მიმდინარეობს პროექტით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის გარკვეული ნაწილის სამშენებლო სამუშაოები. ხოლო დარჩენილ სამუშაოებზე გორის მუნიციპალიტეტის მერიას გამოცხადებული აქვს ტენდერი.

- გორის მუნიციპალიტეტი 2017 წელს შეუერთდა ევროკავშირის ინიციატივას „მერები ეკონომიკური ზრდისთვის M4EG", რომლის მთავარ მისიას წარმოადგენს მდგრადი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება (LED). მისი მიზანია მერებისა და მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა ადგილობრივ დონეზე, რათა მათ აქტიურად შეუწყონ ხელი ეკონომიკურ განვითარებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას ადგილობრივ დონეზე. ევროკავშირის ინიციატივია „მერები ეკონომიკური ზრდისთვის M4EG" ფარგლებში, 2018 წელს, სტრატეგიული განვითარების სააგენტოს ძალისხმევით და ადგილობრივი ხელისუფლების, ბიზნეს სექტორის, სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლების ჩართულობით შემუშავდა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა (LEDP). 2019 წლის 20-28 თებერვლის პერიოდში მიმდინარეობდა ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების გეგმის წარდგენა გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წინაშე, ხოლო 2019 წლის 11 მარტის საკრებულოს სხდომაზე აღნიშნული გეგმა დამტკიცდა და შემდგომში, ხელი მოეწერა გორის მუნიციპალიტეტის მერის მიერ.

გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს თანამშრომელი (ზაურ როსტომაშვილი), რომელიც მერის ბრძანების საფუძველზე, განსაზღვრულია ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ოფიცრად, სააგენტოსთან ერთად უზრუნველყოფს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის განხოციელების მონიტორინგს და ვალდებულია, ევროკავშირის სამდივნოს ყოველ 6 თვეში ერთხელ წარუდგინოს გორის მუნიციპალიტეტის მიერ ,,ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის" განხოცრიელების ანგარიში. აღნიშნული ანგარიშის მოსამზადებლად საჭირო ინფორმაციის მოძიების მიზნით, პერიოდულად იმართებოდა შეხვედრები მერიის შესაბამისი სამსახურების (სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის; განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურები) და დაქვემდებარებული ორგანიზაციის (ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურის და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო) წარმომადგენლებთან.

ივნისის თვეში მომზადდა ,,ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის" განხორციელების პირველი 6 თვის ანგარიში და წარედგინა ევროკავშირის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" ინიციატივის სამდივნოს, ხოლო დეკემბრის თვეში დაიწყო მუშაობა 2019 წლის მეორე 6 თვის ანგარიშის მოსამზადებლად.

- ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების გეგმის ფარგლებში, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტომ, 2019 წლის პირველივე კვარტალში დაიწყო მუშაობა სასოფლო-სამეურნეო ვებ-გვერდის შესაქმნელად. აღნიშნული ვებ-გვერდზე გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ გლეხებსა და ფერმერებს შეუძლიათ, უფასოდ განათავსონ ინფორმაცია მათ მიერ წარმოებული პროდუქციის შესახებ და პოტენციურ მომხმარებლებს შესთავაზონ გასაყიდი საქონელი და მომსახურება. სამომავლოდ, ვებ-გვერდი

იფუნქციონირებს ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენაზე, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრებ გლეხებსა და ფერმერებს საშუალებას მისცემს, სახლიდან გაუსვლელად გაზარდონ მათ მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია არამხოლოდ ადგილობრივ, არამედ უცხო ქვეყნების ბაზარზეც. ვებ-გვერდზე განცხადების განთავსება შესაძლებელია როგორც ფერმერებსთვის, ასევე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, შხამ ქიმიკატებითა თუ სასუქით მოვაჭრე მეწარმეებისთვის, კოოპერატივებისა და აგრო ცენტრებისთვის.

პირველ ეტაპზე, სააგენტოს თანამშრომლები რეგულარულად მართავდნენ შეხვედრებს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან და საკრებულოს წევრებთან. შეხვედრებზე განიხილებოდა ვებ-გვერდის სამუშაო ვერსია და მიმდინარე სამუშაოები, ასევე წარმოდგენილი იყო რეკომენდაციები საიტის დიზაინთან, მასზე განსათავსებელი ინფორმაციასა და დასახელებასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, სააგენტოს თანამშრომლებმა ჩაატარეს მცირე გამოკითხვა ადგილობრივ ფერმერებთან და სასოფლო-სამეურნეო ტიპის მაღაზიების წარმომადგენლებთან, იმის გასარკვევად, თუ რამდენად მისაღები და ხელსაყრელი იქნებოდა მათთვის მსგავსი ტიპის ვებ-გვერდის არსებობა. გამოკითხულთა უმეტესობა დადებითად აფასებდა მსგავსი ტიპის ვებ-გვერდის შექმნის იდეას და გამოხატავდა საკუთარი პროდუქციის/მომსახურების განთავსების სურვილს.

შეხვედრების შედეგად მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, შეიქმნა ვებ-გვერდი www.agrofarm.ge და 2019 წლის 18 ივნისს გაიმართა პრეზენტაცია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში. შეხვედრას ესწრებოდნენ ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კერძო და საჯარო სექტორების წარმოადგენლები, რომელთაც გამოთქვეს იმედი, რომ ერთობლივი ძალისხმევით ვებ-გვერდი იქნება ქმედითი მექანიზმი მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობისთვის. შეხვედრის ბოლოს გაიმართა დისკუსია კითხვა-პასუხის რეჟიმში.

აღსანიშნავია, რომ ვებ-გვერდის შექმნის იდეა და ინიციავიტა გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკუთვნის, ხოლო ადმინისტრირებას გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტო უწევს.

სააგენტომ შეიმუშავა საიტზე განსათავსებელი განცხადების მარტივი ფორმა და შესაბამის ბროშურებთან ერთად გადასცა როგორც გორის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებს, ასევე გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს, რათა მათ ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ გლეხებს და ფერმერებს მიაწოდონ ინფორმაცია საიტის არსებობის და საგებლობის ინსტრუქციის შესახებ. ასევე, ინფორმაცია მიეწოდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, შხამ ქიმიკატებითა თუ სასუქით მოვაჭრე მეწარმეებს. სააგენტოს თანამშრომლები ადგილზე ხვდებობნენ მოსახლეობას გორის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელში, გადასცემდნენ შესაბამის საინფორმაციო მასალას და ინფორმაციას ვებ-გვერდის შესახებ.

პერიოდულად, სააგენტოს თანამშრომლები ვებ-გვერდზე ათავსებენ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ სასარგებლო ინფორმაციას, ადმინისტრირებას უწევენ agrofarm.ge-ს ფეისბუქ გვერდს.

- 2019 წლის 10-16 თებერვალს ზაურ როსტომაშვილი, როგორც ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ოფიცერი, ECORYS Nederland B.V.-s მიერ მიწვეული იყო ნიდერლანდებში, ქალაქ ამსტერდამში, ადგილობრივი დემოკრატიის და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების საუკეთესო პრაქტიკის შესწავლის მიზნით ორგანიზებულ „სასწავლო ტურში" მონაწილეობის მისაღებად (ECORYS Nederland B.V. ხელმღვანელობს EU-ს მიერ დაფინანსებულ პროექტს „მერები ეკონომიკის ზრდისთვის").

„სასწავლო ტურის" განმავლობაში, მონაწილეები ყოველდღიურად ხვდებოდნენ ჰოლანდიის სამინისტროების, ადგილობრივი თვითმმართველობის და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებიც ჰოლანდიის მაგალითზე დაყრდნობით უზიარებდნენ მონაწილეებს მათ ცოდნასა და გამოცდილებას ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა: საჯარო სექტორის თანამშრომლობა ადგილობრივ ბიზნესთან, სტარტაპების, მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობა, ბიზნეს-ინკუბატორის არსებობის მნიშვნელობა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა ეკონომიკური ზრდისათვის და ა.შ.

- 2019 წლის 13 ივნისს სტრატეგიული განვითარების სააგენტო მიწვეული იყო ბოლნისის პირველ საერთაშორისო ფორუმზე „ადგილობრივი თვითმმართველობები ახალი ეკონომიკური შესაძლებლობებისთვის სოფლის მეურნეობაში და სოფლად", რომელიც გაიმართა ბოლნისის მუნიციპალიტეტის ორგანიზებითა და პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით. ღონისძიების მთავარი მიზანს წარმოადგენდა ადგილობრივი ხელისუფლების პოტენციალისა და როლის განსაზღვრა სოფლის მეურნეობისა და სოფლის მდგრად ეკონომიკურ განვითარებაში. ფორუმის ფარგლებში გაზიარებულ იქნა საერთაშორისო პრაქტიკა და ოთხ თემატიკაზე მოეწყო პანელური დისკუსია, სადაც განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორიცაა: სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულებათა ჯაჭვის განვითარება, ადგილობრივი ნაწარმის პოპულარიზაცია და ახალ ბაზრებზე წვდომის გაუმჯობესება, ფერმერების ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა. ღონისძიებას ესწრებოდნენ ცენტრალური მთავრობის, ადგილობრივი ხელისუფლების, ბიზნესისა და სამოქალაქო სექტორის 100-ზე მეტი წარმომადგენელი საქართველოდან, უკრაინიდან, ბელარუსიდან, მოლდოვადან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების, ევროკავშირისა და „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" სამდივნოს წარმომადგენლები.

აღნიშნულ ფორუმს ესწრებოდნენ სააგენტოს თანამშრომლები: ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ოფიცერი, მთავარი სპეციალისტი - ზაურ როსტომაშვილი და უფროსი სპეციალისტი - დავით ბზიშვილი.

- 2019 წლის 25 ივნისს სტრატეგიული განვითარების სააგენტოს დირექტორმა, ლაშა ხმალაძემ და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ოფიცერმა - ზაურ როსტომაშვილმა მონაწილეობა მიიღეს ქალაქ თბილისში „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" სამდივნოს პროექტის საორიენტაციო კომიტეტის რიგით მე-3 შეხვედრაში. აღნიშნულ შეხვედრაზე წარმოდგენილი და განხილული იქნა გრანტიორი მუნიციპალიტეტების პრეზენტაციები პროექტის მსვლელობის შესახებ.

- 2019 წლის 18-19 ივლისს სააგენტო საერთაშორისო საზოგადოებრივი ასოციაციის: «Экопроект «Партнёрство» ("ეკოპროექტი" პარტნიორობა") მიერ მიწვეული იყო კონფერენციაზე: "ბელარუსის რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მეწარმეობის როლის გაძლიერება", რომელიც გაიმართა ბელარუსის რესპუბლიკაში, ნაროჩის დასახლებაში. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო ზაურ როსტომაშვილმა, როგორც ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ოფიცერმა და წარადგინა პრეზენტაცია საქართველოსა და გორის მუნიციპალიტეტში სოფლად არსებული მეწარმეობის ხელშემწყობი პროგრამების შესახებ.

აღნიშნული კონფერენცია ჩატარდა „ბელარუსის რესპუბლიკაში სოფლის ტერიტორიების განვითარების: ბელარუსიის რესპუბლიკაში სასოფლო მეწარმეობის როლის გაზრდა კომაროვოში სოფლის ბიზნეს-ინკუბატორის შექმნისა და დაწყების გზით" პროექტის ფარგლებში.

კონფერენციის მიზანი იყო სხვადასხვა ინიციატივების განხილვა და დემონსტრირება სასოფლო-მეწარმეობის განვითარებისათვის (წარმატებები, პრობლემები) და აგრეთვე ინსტრუმენტები, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას ბელარუსის რესპუბლიკაში სასოფლო მეწარმეობის როლის გაზრდისთვის.

- 2019 წლის 2-3 დეკემბერს ზაურ როსტომაშვილი მონაწილეობდა ქალაქ თბილისში „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" სამდივნოს და მსოფლიო ბანკის ორგანიზებით გამართულ ტრენინგში, რომლის თემას წარმოადგენდა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა. მსოფლიო ბანკიდან მოწვეულმა ტრენერებმა მონაწილეებს პრაქტიკული დავალებების გზით აუხსნეს, თუ რა სახის კომუნიკაციაა მეტად ეფექტური ბიზნესთან ურთიერთობისას, რა სახის დახმარების გაწევა შეუძლია ადგილობრივ ხელისუფლებას ბიზნესისათვის და ა.შ.

დეკემბრის თვის განმავლობაში სააგენტო აწარმოებდა მოლაპარაკებებს თბილისში არსებულ ბიზნესისა და სტარტაპების ხელშემწყობ ბიზნეს აქსელატორთან - „SPARK"-თან. შედეგად,

მხარეები შეთანხმდნენ სამომავლო თანამშრომლობაზე, რაც გულისხმობს გორის მუნიციპალიტეტში მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ტრენინგების ჩატარებას.

- გორის მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით მეოთხე წელია ხორციელდება „სამოქალაქო ბიუჯეტის“ პროგრამა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მოქალაქეები აქტიურად არიან ჩართულები ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში და თვითონ ირჩევენ ადმინისტრაციულ ერთეულებში განსახორციელებელ პრიორიტეტულ პროექტებს. 2016 წლიდან მოყოლებული სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამა ხორციელდებოდა ქალაქ გორში, თუმცა, 2017 წელს მუნიციპალიტეტების გაერთიანების შემდეგ, „სამოქალაქო ბიუჯეტის“ პროგრამამ მოიცვა არა მხოლოდ ქალაქი გორი, არამედ მთლიანად მუნიციპალიტეტი.

2019 წლის 21 იანვარს „სამოქალაქო ბიუჯეტის" ფარგლებში მოსახლეობის მეირ შერჩეული პროექტების და მათი განხორციელების დეტალების შესახებ საჯარო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც შერჩეული პროექტების ავტორები, კოორდინატორები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგნლები და დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

შეხვედრის დასასრულს "სამოქალაქო ბიუჯეტის" შესახებ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული საინფორმაციო ვიდეო რგოლის პრეზენტაციაც მოეწყო.

გორის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით 2019 წლის 21 თებერვალს შეიქმნა სამუშაო ჯგუფი სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამაში შესატანი ცვლილებების შესახებ რეკომენდაციების შესამუშავებლად, რომელშიც წარმოდგენილნი არიან როგორც გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, ასევე გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები. აღნიშნული ბრძანებით, სტატეგიული განვითარების სააგენტოს მთავრი სპეციალისტი - ნინო გოლოშვილი განისაზღვრა გორის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის განვითარების პროგრამის მთავარ კოორდინატორად.

22 თებერვალს გორის მუნიციპალიტეტის მერიის, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოსა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ინიციატივით გაიმართა სამოქალაქო ბიუჯეტის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომლის მიზანი იყო გორის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის განხილვა, არსებული გამოწვევები და პროგრამის შესაბამისობა მონაწილეობითი ბიუჯეტირების სტანდარტებთან და პრინციპებთან. შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ სამოქალაქო ბიუჯეტის სამუშაო ჯგუფის წევრები, ასევე ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტის პროგრამების მენეჯერი ოლგა დოროხინა, დამოუკიდებელი ექსპერტი ადგილობრივი თვითმმართველობისა და ბიუჯეტირების საკითხებში დავით ყიფიანი, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის ხელმძღვანელი ნათია აფხაზავა

და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის გორის ფილიალის ხელმძღვანელი დაკო მურადაშვილი.

სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადდა სამოქალაქო პიუჯეტის პროგრამის განხორციელების შესაბამისი რეგულაციები და მეთოდოლოგიები.

5 აპრილიდან - 31 მაისის ჩათვლით, სააგენტოს ორგანიზებით, გორის მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულებში (თითოეულ დასახლებულ პუნქტებში) იმართებოდა საინფორმაციო შეხვედრები, სადაც მოსახლეობას ადმინისტრაციული ერთეულის რწმუნებულები, პროგრამის მთავარ კოორდინატორთან და სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად აწვდიდნენ ინფორმაციას სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების მიზნებზე და არსებულ შესაძლებლობებზე, საინიციატივო წინადადებების წარდგენის წესებზე. საჭიროებისამებრ, ასევე ეხმარებოდნენ მოსახლეობას პრობლემებისა და პრიორიტეტების გამოვლენაში.

3 ივნისიდან – 28 ივნისის ჩათვლით სამოქალქო ბიუჯეტის პროგრამის ფაგრლებში, ადმინისტრაციულ ერთეულებში იმართებოდა განაცხადის შევსების სპეციფიკის „ვორქშოპი" დაინტერესებული მოსახლეობისათვის. ზონის კოორდინატორები (ად. ერთ. რწმუნებულები) ადმინისტრაციულ ერთეულებში, მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის თანამშრომლებთან, პროგრამის მთავარ კოორდინატორთან და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად, ხვდებოდნენ დაინტერესებული მოსახლეობას და აწვდიდნენ საპროექტო ინიციატივების საჯაროებლიკაციო ფორმის შევსებისათვის საჭირო ინფორმაციას.

ივლისის თვეში გორის მუნიციპალტეტის მერია და სტრატეგიული განვითარების სააგენტო იღებდა მოსახლეობის მიერ სამოქალაქო ბიუჯეტის საჯაროებლიკაციო ფორმების შესაბამისად მომზადებულ საპროექტო ინიციტივებს. პროექტის მთავარი კოორდინატორი, მერის წარმომადგენლების ჩართულობით, ეხმარებოდა მოსახლეობას საპროექტო ინიციატივების სწორად შემუშავებაში. სულ შემოვიდა 64 საპროექტო ინიციატივა, თითოეულ მათგანზე მინიმუმ 10 ადამიანის ხელმოწერით.

აგვისტოს თვეში გორის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების № 3822-ის საფუძველზე შეიქმნა სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო, სააგენტოს თანამშრომელი ნინო გოლოშვილი განისაზვრა, როგორც საბჭოს მდივანი და დაევალა საბჭოს შეხვედრის ოქმის შედგენა.

19 აგვისტოს გაიმართა სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს შეხვედრა. შეხვედრის მიზანი იყო სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის ფარგლებში შემოსული საპროექტო წინადადებების ვერიფიკაცია - საპროექტო წინადადებების იურიდიული, ფინანსური და ტექნიკური მხარის პროექტთან და მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებასთან შესაბამისობის შემოწმება.

სექტემბრის თვეში მოსახლეობამ ადგილებზე შექმნა „წარმომადგენლობითი საბჭოები". პროექტის ფარგლებში, 28 ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდა „წარმომადგენლობითი საბჭოს" სხდომები; საშუალოდ, სხდომას ესწრებოდა 20-30 ადამიანი. წარმომადგენლობითმა

საბჭომ კონსესუსის საფუძველზე (შეთანხმებისამებრ), შეარჩია კონკრეტული საპროექტო ინიციატივები, რომლებიც გაიგზავნა გორის მუნიციპალიტეტის მერიაში, რათა მოხდეს მათი გათვალისწინება 2020 წლის ბიუჯეტში. სულ, „წარმომადგენლობითმა საბჭომ" დაამტკიცა 38 საპროექტო ინიციატივა. პროცესს ფასილიტაციას უწევდა სააგენტოს თანამშრომელი ნინო გოლოშვილი, როგორც პროგრამის მთავარი კოორდინატორი.

- 27 ივნისს სასტუმრო „ჰოლიდეი ინნში" „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის" (CSI) ორგანიზებით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - „საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაძლიერება საჯარო სექტორის მონიტორინგისა და პოლიტიკის დიალოგში გასააქტიურებლად" - ფარგლებში გაიმართა ფორუმი - „სამოქალაქო მონაწილეობა", რომელსაც ესწრებოდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სტუდენტების, თვითმმართველობების, სამოქალაქო აქტივისტების 80-მდე წარმომადგენელი საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. ფორუმის ძირითად მიზანს წარმოადგენდა დაინტერესებული პირებისთვის სამოქალაქო მონაწილეობის კუთხით არსებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, თანამედროვე მიდგომებისა და ტენდენციების გაცნობა, დიალოგისა და დისკუსიის სივრცის შექმნა, რაც მათი შესაძლებლობების გაძლიერებასა და ურთიერთთანამშრომლობას შეუწყობს ხელს.

სამოქალაქო მონაწილეობის ფორუმმა შექმნა ერთგვარი სივრცე, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს ჰქონდა შესაძლებლობა უკეთ გაეცნობიერებინა მოქალაქეთა მონაწილეობის მნიშვნელობა პოლიტიკის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების პროცესში და თავად წარედგინა აუდიტორიისათვის მსგავსი პრაქტიკის წარმატებული მაგალითები, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარა ფორუმის მონაწილეებს ადგილობრივი კონტექსტის კრიტიკულ გააზრებაში.

გორის მუნიციპალიტეტიდან აღნიშნულ ფორუმზე მიწვეული იყო სააგენტოს მთავარი სპეციალისტი, ნინო გოლოშვილი, როგორც გორის მუნიციპალოტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის განვითარების პროგრამის მთავარი კოორდინატორი, რომელმაც გორის მუნიციპალიტეტის მერთან ერთად, დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა გორის მუნიციპალიტეტის ოთხწლიანი გამოცდილება სამოქალაქო ბიუჯეტის კუთხით

- საერთაშორისო სოლიდარობის ფონდმა წელს საქართველოს მუნიციპალიტეტებს შესთავაზა "პარტიციპაციის აკადემია", რომელიც სააპლიკაციო ფორმის მეშვეობით შერჩეულ სტუდენტებს ზაფხულის განმავლობაში ასწავლის სამოქალაქო ბიუჯეტის არსსა და მნიშვნელობას. აკადემიის მთავარი მიზანია სამოქალაქო ბიუჯეტის შესახებ მუნიციპალიტეტებში ცნობიერების ამაღლება და იმ მუნიციპალიტეტებში სადაც არ ხორციელდება აღნიშნული პროგრამა მოხდეს მათი დაინტერესება და ჩართულობა. გორის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით განისაზღვრა საერთაშორისო სოლიდარობის

ფონდთან საკონტაქტო პირად განისაზღვრა ნინო გოლოშვილი, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს ფონდთან და მათ მიერ შემოთავაზებულ პროექტებს აწვდის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. სააგენტოს თანამშრომელმა, ზაურ როსტომაშვილმა გაიარა „პარტიციპაციის აკადემიის" სასწავლო კურსი და 4 ოქტომბერს „სოლიდარობის ფონდი"-ს მიერ გადაეცა აკადემიის წარმატებებით დასრულების სერთიფიკატი.

- საქართველოში საერთაშორისო სოლიდარობის ფონდმა პროექტის - «სამოქალაქო ბიუჯეტი როგორც, ადგილობრივი მოსახლეობის გააქტიურების ინსტრუმენტი და საქართველოში ჩართული პერსონალის პროფესიონალიზაციის ინსტრუმენტი»- ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტს შესთავაზა სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესის სერტიფიცირებაში მონაწილეობა. სერტიფიცირება ჩაატარა ორგანიზაციების საგანგებოდ შექმნილმა კონსორციუმმა საქართველოში სამოქალაქო ბიუჯეტის სტანდარტების საფუძველზე. ნინო გოლოშვილმა, როგორც სამოქალაქო ბიუჯეტის მთავარმა კოორდინატორმა შეიმუშავა საპროექტო წინადადება. შედეგად, 29 ნოემბერს თბილისში გამართულ კონფერენციაზე „აქტიური მოქალაქეები - ძლიერი მუნიციპალიტეტი! სამოქალაქო ბიუჯეტი საქართველოში" გორის მუნიციპალიტეტის მერს „სამოქალაქო ბიუჯეტი"-ს 2019 წელს წარმატებით განხორციელებისათვის გადაეცა სერთიფიკატი. აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობდნენ სააგენტოს თანამშრომლებიც.

- საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულმა ასოციაციამ (NALAG), პროექტის - „ეფექტიანობის და განვითარების ქსელი" (N4ED) ფარგლებში, საქართველოს მუნიციპალიტეტებს შორის, მუნიციპალური სერვისების მიწოდების საუკეთესო პრაქტიკის გამოსავლენად გამოაცხადა კონკურსი. აღნიშნულ კონკურსში გორის მუნიციპალიტეტის სახელით წარსადგენად, სტრატეგიული განვითარების სააგენტომ შეიმუშავა ორი განაცხადი, რომელიც ეხებოდა მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ მცირე ფერმერებისა და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის სერვისებს და მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმებს. მცირე ფერმერებისა და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის სერვისების მიმართულებით წარდგენილი იყო სასოფლო სამეურნეო ვებ - გვერდის შექმნის გამოცდილება, ხოლო მოქალაქეთა ჩართულობის მიმართულებით, „სამოქალაქო ბიუჯეტის" პროგრამა.

- 2019 წლის 14 თებერვალს ცნობილი გახდა, რომ იაპონიის საელჩოს საგრანტო კონკურსში: ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამა–(GGP) გაიმარჯვა სტრატეგიული განვითარების სააგენტოს მიერ შემუშავებულმა და გორის მუნიციპალიტეტის სახელით წარდგენილმა პროექტმა ,,ახალი მექანიზაცია გორის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის". პროექტის მიზანია სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის შეიქმნას შესაძლებლობები მუნიციპალურ ბალანსზე არსებული სასმელი წყლის სისტემის მოვლა-

ექსპლუატაციის. სარწყავი არხების გასუფთავებისა და სასოფლო სავარგულებთან მისასვლელი გზების მოწესრიგებით. პროექტი გულისმობს ექსკავატორ-დამტვირთველის შეძენას, რისთვისაც იაპონიის საელჩომ, გრანტის სახით, გამოყო 61 000 ამერიკული დოლარი.

2019 წლის 6 მარტს იაპონიის ელჩის რეზიდენციაში გაიმართა პროექტის საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონია, რომელსაც ეწრებოდა იაპონიის ელჩი საქართველოში, ცენტრალური მთავრობის და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

21 მარტს პროექტის სამუშაო ჯგუფი, სააგენტოს დირექტორთან ერთად, იმყოფებოდა იაპონიის საელჩოს საგრანტო სექციის მიერ გამართულ სამუშაო შეხვედრაზე. შეხვედრის მიზანი იყო საპროექტო განაცხადით გაწერილი აქტივობების დაგეგმვა, შესყიდვების მეთოდოლოგიის გაცნობა და ძირითად სამუშაო პრინციპებზე შეთანხმება.

მაისის თვეში გორის მუნიციპალიტეტის მერიამ ტენდერში გამარჯვებული კომპანია „თეგეტა კონსტრაქსშენ ექვიფმენთისგან" შეისყიდა ექსკავატორ/დამტვირთველი - მრავალფუნქციური ტრაქტორი -„JCB", საერთო ღირებულებით 198 346 ლარი, რომელიც ექსპლუატაციისთვის გადაეცა ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემების, წყალარინების, მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახურს", რომელსაც დღემდე მსგავსი ტიპის მხოლოდ ერთი ერთეული ტექნიკა ემსახურებოდა. ამჟამად უკვე ორი ექსკავატორ-დამტვირთველის საშუალებით მუნიციპალიტეტის მასშტაბით ყოველწლიურად მოეწყობა ახალი სასმელი წყლის სისტემა (8 კმ), გაიწმინდება სარწყავი არხები (8 კმ) და სავარგულებამდე მისასვლელი გზები (8 კმ).

2019 წლის 10 ოქტომბერს სოფელ კვარხეთში გაიმართა პროექტის ფარგლებში შეძენილი ტექნიკის პრეზენტაცია. ღონისძიებას იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ტადაჰარუ უეჰარა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და მოსახლეობა ესწრებოდა.

სტრატეგიული განვითარების სააგენტო, როგორც პროექტის ავტორი და კოორდინატორი, აქტიურად იყო ჩართული პროექტის განხორციელების პროცესში; უზრუნველყოფდა იაპონიის საელჩოს საგრანტო სექციასთან მუდმივ კომუნიკაციას, წარუდგენდა ანგარიშს პროექტის მიმდინარეობის შესახებ.

- გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტო 2017 წლიდან არის ევროპის მოხალისეობრივი სერვისის (EVS) აკრედიტებული ორგანიზაცია. 2018 წელს სააგენტომ შეიმუშავა საპროექტო განაცხადი და იტალიურ პარტნიორ ორგანიზაციასთან ერთად წარადგინა ევროკომისიის ERASMUS+-ის პროგრამის საგრანტო კონკურში მონაწილეობისათვის. წარდგენილი საპროექტო განაცხადი მოწონებულ იქნა ERASMUS+ -ის პროგრამის იტალიის ეროვნული სააგენტოს მიერ და 2019 წლის მარტიდან სტრატეგიული განვითარების სააგენტო იტალიურ პარტნიორ ორგანიზაცია, Atelier Europeo-სთან ერთად,

ახორციელებს Erasmus+ პროგრამის მიერ დაფინანსებულ პროექტს: „ახალგაზრდების განვითარება განათლების გზით." პროექტის ფარგლებში ორგანიზაცია ერთი წლის ვადით მასპინძლობს ორ იტალიელ მოხალისეს, რომელთა მთავარი მიზანია, არაფორმალური განათლების სხვადასხვა საქმიანობების განხორციელების გზით, ხელი შეუწყოს გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების ცნობიერებისა და ცოდნის ამაღლებას, ასევე, მათ ინფორმირებას სხვადასხვა საგანმანათლებლო, ახალგაზრდული პროექტებისა და პროგრამების შესახებ.

პროექტის ფარგლებში 18 მარტს, 11-18 წლამდე ახალგაზრდებისათვის გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა გაცნობითი ხასიათის შეხვედრა ERASMUS+ -ის შესახებ. სააგენტოს იტალიელმა მოხალისემ, მათია კატენამ, რომელიც მეორე წელია მოხალისეობრივი საქმიანობით არის დაკავებული, დამსწრე ახალგაზრდებს გაუზიარა თავისი გამოცდილება. 2018 წლის აპრილში, სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად, იტალიელმა მოხალისეებმა შეიმუშავეს და ევროპულ ორგანიზაციებთან პარტნიორობით წარადგინეს განაცხადები ERASMUS + KA1 პროგრამის ფარგლებში, მოკლევადიანი ახალგაზრდული სასწავლო გაცვლითი პროექტების განსახორციელებლად საგრანტო დაფინანსების მიღების მიზნით. აღნიშნული მიმართულებით კვლავ გრძელდება მუშაობა, რათა მომზადდეს ახალი საპროექტო განაცხადები მომავალ საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად.

მოხალისეები გორის მუნიციპალიტეტის სკოლებში 13 და მეტი ასაკის მქონე მოსწავლეებისთვის გორის მუნიციპალიტეტის ქალაქის და რაიონის სკოლებში მართავენ სხვადასხვა თემატიკის ტრენინგებს. სატრენინგო მოდულები შემუშავებულია: ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო „კომპასი" (სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით); ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო, „კომპასიტო" (სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ბავშვებისთვის); მშვიდობის კორპუსის პროგრამების და ტრენინგების მხარდაჭერის სათაო ოფისის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო, „ახალგაზრდობის საარსებო საშუალებები: ფინანსური განათლება"; SALTO-YOUTH - ის ქსელის ვებ-გვერდზე განთავსებული, სწავლების, ახალგაზრდული საქმიანობებისა და ტრენინგების სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით და ოფიციალურადაა შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან. ამ ეტაპისთვის ტრენინგები ჩატარდა შემდეგ საჯარო სკოლებში: ბოშური, ბერბუკი, კარალეთი, ხელთუბანი, გორის #8 და #9 სკოლა, ჯამში სულ: 20 ტრენინგი.

გარდა ზემოთაღნიშნული ტრენინგ-კურსისა, (ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტო" იტალიელი მოხალისეების ჩართულობით, 13-29 წლის ასაკის გორის მუნიციპალიტეტსი მცხოვრებ ახალგაზრდებს აძლევს შესაძლებლობას, გაიარონ საბაზისო იტალიური ენის 2 თვიანი უფასო კურსი, რომლის დასრულების შემდეგაც მონაწილეებს გადაეცემათ შესაბამისი სერთიფიკატები.

სტრატეგიული განვითარების სააგენტოს და მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით, ასევე იტალიელი მოხალისეების ჩართულობით, 7 ივნისს გორში, გართობისა და დასვენების პარკ ახალბაღში „ახალგაზრდული დღეები 2019-ის" ფარგლებში იტალიის დღე აღინიშნა, ღონისძიებაზე მოეწყო დოკუმენტური ფილმის "იტალიის" ჩვენება. ახალგაზრდებმა, რომლებიც იტალური ენის უფასო კურსს გადიოდნენ, მოხალისეების დახმარებით წარმოადგინეს თემატური პრეზენტაციები იტალიის შესახებ.

15 ივლისიდან 2 აგვისტომდე, გორში, გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს და მეგობრობის ხიდი „ქართლოსის" Erasmus + იტალიელი მოხალისეები პროექტის: „ჩართულობის თვე" ფარგლებში ახორციელებდნენ სხვადასხვა აქტივობებს, რომლიც მორგებული იყო ახალგაზრდების ინტერესებსა და გემოვნებაზე.

სტრატეგიული განვითარების სააგენტოს" ERASMUS + იტალიელი მოხალისეების და საზოგადოება „ბილიკის" თანამშრომლობის ფარგლებში, 2019 წლის 9 – 13 სექტემბრის განმავლობაში მიმდინარეობდა „გარემოს დაცვის" პროგრამა, რომლის მიზანი იყო: დაბინძურების პრობლემის შესახებ ახალგაზრდებს შორის ცნობიერების ამაღლება; ნარჩენების გადამუშავების მნიშვნელობაზე ყურადღების გამახვილება; დინამიკური და შემოქმედებითი გარემოს შექმნა; სოციალიზაციის ადგილის შექმნა; ახალგაზრდების ჯგუფებს შორის დიალოგის ხელშეწყობა და წახალისება.

აღნიშნულ პერიოდში გორის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები ჩაერთვნენ გარემოს დაცვის აქტივობებში, როგორიცაა „RECYCLED CRAFTS" და დისკუსიებში თემაზე „გარემოს დაბინძურება და ნარჩენების გადამუშავება".

პროგრამის ბოლოს მოეწყო ახალგაზრდების მიერ გადამუშავებული პლასტმასის ნარჩენებისგან გაკეთებული ხელნაკეთობების და ნახატების ჩვენება.

- სააგენტო, 2020 წლის ბოლომდე ფლობს ევროპული სოლიდარობის ფონდის (ESC) (ყოფილი ევროპის მოხალისეობრივი სერვისი) მასპინძელი ორგანიზაციის აკრედიტაციას, რომლის ფარგლებშიც აქვს უფლება ერთდროულად მიიღოს 2 მოხალისე არაუმეტეს 12 თვიანი მობილობის პერიოდით. მიუხედავად ამისა, სააგენტო მიზნად ისახავს ახალგაზრდული მიმართულებით საქმიანობების გაფართოებას, რისთვისაც მომზადდა და 11 ოქტომბერს წარგენილ იქნა განაცხადი ახალი აკრედიტაციის მისაღებად. განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სააგენტო გახდება ევროპული სოლიდარობის ფონდის არამარტო აკრედიტებული მასპინძელი ორგანიზაცია, არამედ გამგზავნიც, რაც მოგვცემს ქართველი ახალგაზრდების ევროპის მასშტაბით გაგზავნის შესაძლებლობას სხვადასხვა ორგანიზაციების პროექტებში მონაწილეობის მისაღებად. გარდა ამისა, სააგენტო მიიღებს უფლებას მოკლევადიანი მობილობის (2 თვემდე) შემთხვევაში ერთდროულად უმასპინძლოს 20

მოხალისეს. ხოლო გრძელვადიანი მობილობის (12 თვემდე) შემთხვევაში უმასპინძლოს ერთდროულად 4 მოხალისეს.

- ახალგაზრდებში არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მიზნით, სტრატეგიული განვითარების სააგენტო 2016 წლიდან უზრუნველყოფს გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების მონაწილეობას პოლონეთში, ბოლესლავოვოს ბიზნეს კვირეულში (Bolesławowo Business Week). ბოლესლავოვოს ბიზნეს კვირეული არის უნიკალური ღონისძიება, რომელიც ხორციელდება 2011 წლიდან ვაშინგტონ ბიზნესს კვირეულთან თანამშრომლობით, ასევე ბევრ ბიზნეს პარტნიორთან პოლონეთიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან, Boeing Company–ის ჩათვლით. პროგრამის მიზანია ახალგაზრდებს ასწავლოს მეწარმეობა, განუვითაროს ბიზნესის მართვის და მარკეტინგის უნარები ძალიან პრაქტიკული გზით - ამერიკული კორპორაციების თანამშრომლების გამოცდილების გამოყენებით, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ამ პროექტში. პროგრამის პერიოდში მოსწავლეებს საშუალება აქვთ, გამოსცადონ საკუთარი შესაძლებლობები ისეთ ბიზნეს საკითხებში, როგორიცაა: გადაწყვეტილების მიღება, ფასის რეგულირება, ბიუჯეტის და ადამიანური რესურსების მართვა, საზოგადოებასთან ურთიერთობები, სამუშაოს მოძიება, თვით-პრეზენტაცია და სხვა. პროგრამის სამუშაო ენა არის ინგლისური.

მიმდინარე წელს, ბოლესლავოვოს ბიზნეს კვირეულის მე-9 გამოცემის მონაწილეების შესარჩევად კონკურსის ჩატარება ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტომ უზრუნველყო. კონკურსში მონაწილეობის შესაძლებლობა ქონდა გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 16–18 წლის ახალგაზრდებს. სააგენტოს თანამშრომლებმა შეიმუშავეს საჭირო ინფორმაციის გავრცელებისთვის შესაბამისი განცხადების ტექსტი და მონაწილეობის სააპლიკაციო ფორმა. აღნიშნული ინფორმაცია განთავსდა გორის მუნიციპალიტეტის მერიის და სტრატეგიული განვითარების სააგენტოს ფეისბუქ გვერდებზე. სპეციალურად შექმნილი 5 წევრიანი კომისიის მიერ მოხდა 100-მდე კონკურსანტის მიერ შევსებული აპლიკაციების გადარჩევა და დაიგეგმა კონკურსის მომდევნო - გასაუბრების ეტაპი. გასაუბრება გაიარა 35-მა აპლიკანტმა, რომელთაც კომისიის წევრები აფასებდნენ წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით; შეფასდა კონკურსის მონაწილეთა ენობრივი და სოციალური უნარები. შეირჩა საუკეთესო შედეგის მქონე 4 ახალგაზრდა (ნიცა ამბრიაშვილი, გიორგი ხეჩიკაშვილი, მარიამ სხირტლაძე, ანნა ჯაფარიძე), რომელთაც პროგრამის ფარგლებში (29 ივნისი - 6 ივლისი) თან ახლდათ სააგენტოს თანამშრომელი, მაგდანა ჩიტაძე. მონაწილეთა ტრანსპორტირების ბილეთების შეძენა და სხვა საორგანიზაციო საკითხები უზრუნველყოფილი იყო სტრატეგიული განვითარების სააგენტოს მიერ.

- გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტომ პოლონურ პარტნიორ ასოციაცია Czajnia-სთან (პოლონეთი, ტომაშუვ ლუბელსკი) თანამშრომლობით და

თანადაფინანსებით უზრუნველყო ქართულ-პოლონური ახალგაზრდული სასწავლო გაცვლითი პროგრამის განხორციელება. ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამა განხორციელდა პოლონეთის რესპუბლიკის ეროვნული განათლების სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტის „აქტიური ახალგაზრდობა" ფარგლებში. პროგრამის მიზანს წარმოადგენდა ორივე ქვეყნის ახალგაზრდების მიერ საქართველოსა და პოლონეთის კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა, არაფორმალური სწავლების მეთოდების გამოყენებით ახალგაზრდების ერთმანეთთან დაახლოება და მათი სოციალური უნარების გაძლიერება. პროგრამა გულისხმობდა ორივე ქვეყნაში, ერთ კვირიანი გაცვლითი პროგრამის ორგანიზებას, რომელშიც ერთობლივად იყო ჩართული 10 ქართველი და 10 პოლონელი ახალგაზრდა.

პროგრამის ფარგლებში, 2019 წლის 1-7 ოქტომბერს, 10 პოლონელი ახალგაზრდა, პროექტის ორგანიზატორებთან ერთად, სტუმრობნენ გორის მუნიციპალიტეტს. ამ ხნის მანძილზე, ქართველ და პოლონელ მონაწილეებს ქონდათ შესაძლებლობა, გაცნობოდნენ ჩვენი ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობას, მოენახულებინათ ისტორიული ადგილები, მიეღოთ მონაწილეობა სოციალური მედიის ტრეინიგში, შეხვედროდნენ გორის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, არაფორმალური სწავლების მეთოდების გამოყენებით დაახლოვებოდნენ ერთმანეთს და განევითარებინათ სოციალური უნარები.

ხოლო, 20 ოქტომბერს, კონკურსის წესით შერჩული 10 გორელი ახალგაზრდა, სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად, გაემგზავრა პოლონეთის რესპუბლიკაში. ერთ კვირიანი ვიზიტის განმავლობაში ქართველ მონაწილეებს ქონდათ შესაძლებლობა, გაცნობოდნენ პოლონეთის რესპუბლიკის კულტურულ მემკვიდრეობას, მოენახულებინათ სხვადასხვა ისტორიული ადგილები და ღირსშესანიშნაობები, გაცნობოდნენ პოლონურ ფოლკლორულ მუსიკას, ცეკვას, დაემყარებინათ მეგობრული ურთიერთობები პოლონელ და უკრაინელ ახალგაზრდებთან (უკრანელი ახალგაზრების ჯგუფი ასევე გაცვლითი პროგრამით იმყოფებოდა პოლონეთის რესპუბლიკაში), არაფორმალური სწავლების მეთოდების გამოყენებით განევითარებინათ მათი სოციალური თუ ენობრივი უნარები. ვიზიტის ფარგლებში, გორელ მონაწილეები ასევე შეხვდნენ პოლონეთში საქართველოს ელჩს ილია დარჩიაშვილს, შეხვედრაზე ქართველმა მონაწილეებმა დასვეს მათთვის საინტერესო კითხვები, ელჩთან ერთად ისაუბრეს საქართველოს და პოლონეთის რესპუბლიკის თანამშრომლობაზე, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის შესაძლებლობებსა და მნიშვნელობაზე და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ პოლონელი პარტნიორების მიერ პოლონეთში ვიზიტის პროგრამა და დღის წესრიგი გაიწერა და დაიგეგმა გორის მუნიციპალიტეტიდან მონაწილეების ჩართულობით და აქტიურობით. აღნიშნული გარემოება ახალგაზრდებისთვის იყო დამატებითი მოტივაცია და შესაძლებლობა, მიეღოთ მონაწილეობა მათ სურვილებსა და ინტერესებზე მაქსიმალურად მორგებულ გაცვლით პროგრამაში, რამაც, საბოლოო ჯამში, გაზარდა პროგრამის ეფექტურობა და ხელი შეუწყო მისი მიზნების წარმატებით მიღწევას.

- ევროპის საბჭოსა და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს თანამშრომლობით ჩატარდა კვლევა გორის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების სოციალურ უფლებებზე ხელმისაწვდომობის შესახებ. კვლევა ეფუძნება გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს მიერ გამოხატულ ინტერესს - დანერგოს და დაინტერესებულ მხარეებს გააცნოს Enter! - ის რეკომენდაციები.

Enter! - არის ევროპის საბჭოს პროექტი, რომელიც მხარს უჭერს ახალგაზრდულ საქმიანობასა და ახალგაზრდულ პოლიტიკას, ევროპაში, განსაკუთრებით დაუცველ რაიონებში მცხოვრები ახალგაზრდების ძალადობის, გარიყვისა და დისკრიმინაციის შემთხვევების საპასუხოდ. 2015 წელს, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაციები (the Enter! Recommendation) დაუცველი რაიონების წარმომადგენელი ახალგაზრდების სოციალურ უფლებებზე ხელმისაწვდომობის თაობაზე. სწორედ აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების მხარდასაჭერად ევროპის საბჭო, ხელს უწყობს გორის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების სოციალურ უფლებებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კვლევის ჩატარებას. ამ მიზნით, ევროპის საბჭოს და გორის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმდა თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, გორის მუნიციპალიტეტი, სტრატეგიული განვითარების სააგენტოს მეშვეობით, იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს აღნიშნული კვლევის ჩატარება კვლევისთვის საჭირო დოკუმენტების, საინფორმაციო მასალის გაზიარებით, ევროპის საბჭოს კონსულტანტებთან კვლევის დიზაინის და სხვა ტექნიკური საკითხების შესახებ თანამშრომლობით, ფოკუს-ჯგუფების შეხვედრების ორგანიზებით, კვლევის და მისი შედეგების შესახებ დაინტერესებულ მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდებით და ა.შ.

კვლევის ამოცანებს წარმოადგენს: ადგილობრივი ახალგაზრდების (მათ შორის მოწყვლადი ახალგაზრდების) სოციალურ უფლებებზე წვდომის ძირითადი გამოწვევების გამოვლენა; მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ახალგაზრდების სოციალური უფლებების ხელმისაწვდომობის მიმართულებით მომუშავე დაინტერესებული ჯგუფებისა და მათი გამოწვევების გამოვლენა; ახალგაზრდების (განსაკუთრებით დაუცველი ახალგაზრდების) სოციალურ უფლებებზე ხელმისაწვდომობის სფეროში მუნიციპალიტეტის სამომავლო პროგრამებისა და ინტერვენციებისთვის შესაბამისი და გონივრული რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის ჩასატარებლად გამოყენებულ იქნაკვლევის თვისებრივი მეთოდები. აგვისტოდან და ოქტომბრის ჩათვლით ჩატარდა 10 ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან, გაანალიზდა შემდეგი ასპექტები: ახალგზარდების სოციალურ უფლებებზე ხელმისაწვდომობის გამოწვევები; სოციალურ უფლებებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიმართულებით მომუშავე ადგილობრივი ორგანიზაციებისა და ყველა დაინტერესებული მხარის გამოწვევები. კვლევა ასევე მოიცავს სამაგიდე კვლევას - მეორადი მონაცემებისა (შესაბამისი, ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევის შედეგები) და არსებული ლიტერატურის ანალიზს. ამის შემდგომ, მოხდა მიღებული მონაცემების ანალიზი და შემუშავდა კვლევის შედეგების დოკუმენტი.

კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელი იქნება ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის შესამუშავებლად და წვლილს შეიტანს ახალგაზრდების სოციალურ უფლებებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ეფექტურ განხორციელებაში.

- ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტომ" ჩაატარა კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა გორში მიუსაფარი ცხოველების პოპულაციის გავრცელების არეალის იდენტიფიცირება და რაოდენობის განსაზღვრა. აღნიშნული კვლევის ფარგლებში, ინფორმაცია შეგროვდა საჯარო სკოლების მოსწავლეებთან შეხვედრებისა და მათი გამოკითხვის გზით. უფრო ვრცლად კი, ქალაქ გორში არსებული ქუჩები და მისამართები, ტერიტორიული სიახლოვის პრინციპით, დაიყო ქალაქ გორის 12 საჯარო სკოლის შესაბამისად. გაიმართა შეხვედრები ქალაქ გორის თორმეტივე საჯარო სკოლის დირექციასა და მოსწავლეებთან. მოსწავლეებს გადაეცათ ღია ტიპის კითხვარები, რომლის მიხედვითაც მოიძიეს და დააფიქსირეს ინფორმაცია მათ საცხოვრებელ მისამართზე/ქუჩაზე არსებული პატრონიანი და უპატრონო ძაღლების რაოდენობის შესახებ. სულ, ქალაქ გორის 12 საჯარო სკოლაში გამოიკითხა V-X კლასების 1462 მოსწავლე. სააგენტომ დაამუშავა მიღებული მონაცემები და კვლვამ აჩვენა, რომ ქალაქ გორში არის 1732 პატრონიანი და 2969 მიუსაფარი ძაღლი, სულ 4701. რაც შეეხება პოულაციის გავრცელების არეალს, ყველაზე დიდი რაოდენობა აღმოჩნდა სადგური-ელექტროფიკაციის ადმინისტრაციულ ერთეულში სულ 641 ძაღლი (434 უპატრონო 207 პატრონიანი); ხოლო ყველაზე ნაკლები - კვერნაქის ადმინისტრაციულ ერთეულში 231 ძაღლი (117 უპატრონო 114 პატრონიანი).

გორის მუნიციპალიტეტის სპეციალური სერვისების მიწოდების სააგენტოსთან კვლევის შედეგების გაზიარების და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცხოველთა მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების მხარდაჭერის მიზნით, 2019 წლის 31 ივლისს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მცირე დარბაზში გაიმართა კვლევის შედეგების განხილვა და დისკუსია. შეხვედრას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის სპეციალური სერვისების მიწოდების სააგენტოს, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

- პერიოდულად, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში აცხადებს აშშ-ის ელჩის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის (AFCP) 2019 წლის მსხვილი გრანტების პროგრამაში საპროექტო განაცხადის აბსტრაქტების მიღებას. თუმცა, აპლიკაციის შევსებამდე, აპლიკანტი ვალდებულია მოიპოვოს დანს ნომერი, ნატოს კომერციული და სამთავრობო უწყების კოდი და დარეგისტრირდეს სემში. ამ მიზნით, აღნიშნულ პორტალებზე განახლდა სტრატეგიული გავნითარების სააგენტოს მონაცემები და ასევე, სააგენტოს მიერ

მოხდა გორის მუნიციპალიტეტის მიერ დანს ნომრის და ნატოს კომერციული და სამთავრობო უწყების კოდის მოპოვება და სემში რეგისტრაცია.

- სააგენტო ჩართულია პროექტში "ინფრასტრუქტურის ხარისხის გაუმჯობესება, უკეთესი დაგეგმვის სისტემების საშუალებით". პროექტის განმახორციელებელია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და პოლონეთის ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, სააგენტოს თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობდნენ გორის მუნიციპალიტეტის მერიაში გამართულ ვორქშოფებში, სადაც პროექტის წარმომადგენლები გორის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს ინფრასტრუქტურული პროექტებისა და საინვესტიციო პროგრამებისა შერჩევა/მომზადების მეთოდოლოგიის შესახებ დეტალურ ინფორმაციას აწვდიდნენ და ამ საკითხებთან დაკავშრებით ევროკავშირის გამოცდილებას უზიარებდნენ. პროექტის „ინფრასტრუქტურის ხარისხის გაუმჯობესება უკეთესი დაგეგმვის სისტემების საშუალებით" მიზანია, გაზარდოს საქართველოს ცენტრალურ სახელისუფლებო სტრუქტურებსა და შერჩეული ადგილობრივი მუნიციპალიტეტების შესძლებლობები ინფრასტრუქტურული პროექტების შერჩევისა და მომზადების კუთხით, რაც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის საინვესტიციო შესაძლებლობების გაფართოებასა და რეგიონების განვითარებას. ორწლიანი პროექტი ევროკავშირის მხარდაჭერით ხორციელდება გორისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში.

- სააგენტო ასევე ჩართულია ევროკავშირის პროექტში „სამოქალაქო საზოგადოება - მცირე და საშუალო ბიზნესის და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის მხარდასაჭერად", რომელსაც ახორციელებენ კონრად ადენაუერის ფონდი და მისი პარტნიორი ორგანიზაციები - ,,ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი" და ასოციაცია „ათინათი". პროექტის მიზანია გააძლიეროს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, გაზარდოს მათი ცოდნა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებასთან და საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიასთან დაკავშირებით; ჩართოს ისინი მცირე და საშუალო ბიზნესის საჭიროების კვლევის, ინფორმირებისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესში.

28 ივნისს სააგენტომ მონაწილეობა მიიღო აღნიშნული პროექტის შემაჯამებელი კონფერენციის ფარგლებში გამართულ რეგიონულ მცირე და საშუალო ბიზნესისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების გამოფენაში. გამოფენაზე საქართველოს ხუთი რეგიონიდან (კახეთი, იმერეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი და სამეგრელო) ორგანიზაციებმა წარმოადგინეს საკუთარ პროდუქცია, პუბლიკაციები, მომსახურება და დამთვალიერებლებს გააცნეს საკუთარ საქმიანობა.

- 9 ივლისს სტრატეგიული განვითარების სააგენტომ მონაწილეობა მიიღო შიდა ქართლის სამოქალაქო საზოგადოების რეგიონულ ფორუმში, რომელიც გორის კულტურისა და დასვენების პარკში. ფორუმზე სააგენტოს თანამშრომლებმა წარადგინეს ორგანიზაციის მიმდინარე და განხორციელებული საქმიანობები. სამოქალაქო საზოგადოების რეგიონული ფორუმი გაიმართა გორის საინფორმაციო ცენტრის, პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა" ფარგლებში. „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა" ხორციელდება კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მიერ სამოქალაქო საზოგადოების ინსიტუტთან (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრთან (CTC), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG) და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC) თანამშრომლობით.

- სტრატეგიული განვითარების სააგენტო ჩართული იყო საერთაშორისო ორგანიზაციას Save the Children-ის მიერ ორგანიზებულ ბავშვის უფლებათა საერთაშორისო კონვენციის 30-ე წლისთავთან დაკავშირებულ აქტივობებში. სააგენტოს თანამშრომლები მონაწილეობდნენ ღონისძიებათა ციკლში, მათ შორის 8 ნოემბერს თბილისში გამართულ სამუშაო შეხვედრაში: "ბავშვის უფლებათა კონვენცია და მისი იმპლემენტაცია ეროვნულ და მუნიციპალურ დონეებზე", სადაც წარმოდგენილი იყო გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები, 14-დან 17 წლამდე ბავშვების მიერ ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე ბავშვთა უფლებების კუთხით გამოვლენილი გამოწვევების პრეზენტაცია. სამუშაო შეხვედრა ჩატარდა ეროვნული და ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით, ბავშვების მიერ იდენტიფიცირებულ პრობლემებთან დაკავშირებით სამომავლო აქტივობების დაგეგმვის მიზნით.
კონვენციის 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი აქტივობების ფარგლებში, სააგენტოს თანამშრომელმა, ნინო გოლოშვილმა მონაწილეობა მიიღო ვიდეორგოლში, სადაც ისაუბრა ახალგაზრდების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობების შესახებ.

- სააგენტო დაინტერესებულია მიიღოს მშვიდობის კორპუსის მოხალისე; შემუშავდა და გაიგზავნა განაცხადი მშვიდობის კორპუსის ორგანიზაციული განვითარების (IOD) პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად. აღნიშნული პროგრამის მიზანია ორგანიზაციეული და ინდივიდუალური განვითარების, საკუთარი რესურსების მართვის, გრძელვადიან შედეგზე ორიენტირებული პროექტების და პროგრამების დაგეგმვის ხელშეწყობა. სააგენტოს მიერ წარდგენილი განაცხადი გადავიდა კონკურსის შემდეგ ეტაპზე, საბოლოო დადებითი პასუხის შემთხვევაში, ორგანიზაციას საშუალება ექნება 2020 წლის აგვისტოს თვიდან 2 წლის განმავლობაში უმასპინძლოს ამერიკელ მოხალისეს.

- სტრატეგიული განვითარების სააგენტოს დაუკავშირდა სუპერმარკეტების ქსელ „ნიკორა"-ს ადამიანური რესურსების განყოფილების თანამშრომლები და თხოვეს დახმარება მათ კომპანიაში არსებული ვაკანსიებისთვის კადრების მოძიებაში. სააგენტოს ორგანიზებით და ძალისხმევით 2019 წლის 5 დეკემბერს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენობაში გაიმართა დასაქმების ფორუმი, სადაც კომპანიის მიერ გამოცხადებული ვაკანსიებით დაინტერებულ პირებს ქონდათ შესაძლებლობა, გაეარათ გასაუბრება შემდგომში დასაქმების პერსპექტივით. აღნიშნული ფორუმის შედეგად გასაუბრება გაიარა 140 აპლიკანტმა და პირველ ეტაპზე „ნიკორას" ქსელში დასაქმდა 70 ადამიანი.

- საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციის მიზნით ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს ფეისბუქ გვერდზე მუდმივად ხდება სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის, საინტერესო სიახლეების, მოქალაქეების და არასამთავრობო სექტორისათვის საინტერესო ინფორმაციის განთავსება.

- სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფის განყოფილება და მთლიანად სააგენტო ჩართულია ქალაქ გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავებაში. 2017 წელს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესამუშავებლად გამოცხადდა კონკურსი და გამოვლინდა გამარჯვებული ორგანიზაცია „სითი ინსტიტუტ ჯორჯია," რომელთან კოორდინაციაც, მერის ბრძანებით, დაევალა სააგენტოს ქალაქ გეგმარების მთავარ სპეციალისტს, თამაზ ტლაშაძეს. 2019 წლის პირველ ნახევარში, თამაზი ტლაშაძე ორგანიზებას უწევდა „სითი ინსტიტუტი საქართველოს " ჯგუფის შეხვედრებს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებულ ყველა კომისიის სრულ შემადგენლობასთან. შეხვედრები ემსახურებოდა პირველადი აზრების გაცვლა-გამოცვლას, სანამ ორგანიზაცია წარმოადგენდა სრულ მასალას. ასევე, სააგენტოს ორგანიზებით 1 მაისს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარბაზში გაიმართა ქ. გორის მიწათსარგებლობითი კონცეფციის სამუშაო ვერსიის საჯარო განხილვა სამოქალაქო სექტორთან. საჯარო კონსულტაციების და რეკომენდაციების მიღების შემდეგ „სითი ინსტიტუტი საქართველომ " მიწათსარგებლობის გეგმა შეთანხმებულ ვადებში დაასრულა და ამ ეტაპისათვის ელოდება რეკომენდაციებს გარემოს დაცვის სამინისტროდან.

სააგენტოს სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფის განყოფილება, ქალაქ გეგმარების მთავარი სპეციალისტის ხელმძღვანელობით, აქტიურად იყო ჩართული ქალაქ გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავების პროცესის ყველა ეტაპზე.

სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომლებმა (ნოდარ მაზიაშვილი, ლაშა გაგნიძე, თამაზი ტლაშაძე) მონაწილეობა მიიღეს თესეუს და „სიტი ინსტიტუტ საქართველოს" მიერ 1-2 მარტს ორგანიზებულ საერთაშორისო ფორუმში: „მიწათსარგებლობა და ურბანული დაგეგმარების პრაქტიკები ევროკავშირთან ასოცირებული

ქვეყნების ქალაქებში". რომელიც ეხებოდა ქალაქის ურბანული განვითარების საკითხებს, პრობლემებს და მის გადაწყვეტას.

- გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან წერილობით მიღებული დავალებების საფუძველზე, სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომლების მიერ ხორციელდებოდა გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების, გზის ფენების და შიდა საუბნო გზების, სკვერების და მოედნების, ჭაბურღილების და ა.შ. საკადასტრო ნახაზების მომზადება, საველე აზომვითი ნახაზების მომზადება, შენობა ნაგებობების შიდა და გარე აზომვითი სამუშაოების შესრულება და შესაბამისი ნახაზების, ტექნიკური პასპორტების მომზადება, მიწის ნაკვეთების დაკოლვის სამუშაოების ჩატარება ხაზობრივი ნაგებობების წერტილოვანი საკადასტრო ნახაზების მომზადება, სიტუაციური ნახაზების და თემატური გეოინფორმაციული რუკების მომზადება

სულ, აღნიშნული მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული 157 წერილი.

მომზადებული მიწის ნაკვეთის 400 საკადასტრო აზომვითი ნახაზი კვადრატულობის მიხედვით შეადგენს 1 892 020 კვ.მ.-ს.

გარდა ამისა:

ქალაქ გორში წმინდაწყლის დასახლებაში მოხდა სამხედრო აკადემიის მიმდებარედ არაგეგმიურად დარეგისტრირებული ნაკვეთების სარეგისტრაციო მონაცემების გასწორება გეოინფორმაციული გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული რეგულირების გეგმის მიხედვით.

დამუშავდა და გაიცა 15 მიწის ნაკვეთის შესაბამისი ელექტრონული მონაცემი;

მომზადდა უსახელო ქუჩებისა და არსებული ნაკვეთების დამისამართებისათვის საჭირო სიტუაციური გეგმები და თემატური რუკები;

დამუშავდა 20 სიტუაციური ნახაზი და გეოინფორმაციული მონაცემი;

მომზადდა სხვადახვა უბნის თემატური რუკები, კერძოდ:

- ქალაქ გორის ელექტრონული რუკა;
- ქალაქ გორის ელექტრონული რუკა არსებული უბნების საზღვრების მითითებით;
- ქალა გორში არსებული სხვადასხვა უბნის თემატური რუკები;
- ტოპოგრაფიული რუკა გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიმდებარე ტერიტორია.

მომზადდა უძრავი ქონების სარეგისტრაციო დოკუმენტაცია.

გარდა ამისა, გორის მუნიციპალიტეტის მერიისგან მიღებული დავალების საფუძველზე ხდებოდა ქალაქ გორში მუნიციპალურ ბალანსზე არსებული გარე განათების ბოძის საკადასტრო - აზომვითი ნახაზის მომზადება.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს მიერ 2020 წლის 01.01.2020 – 15.05.2020 პერიოდში განხორციელებული საქმიანობის ანგარიში

2020 წლის დასაწყისში, სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად შემუშავდა ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს" 2020 წლის სამოქმედო გეგმა: განისაზღვრა განსახორციელებელი საქმიანობები, ინდიკატორები, არსებული და მისაღწევი შედეგები, განხორციელების რისკები, სამუშაოს შესრულების ვადები და მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. ასევე, გორის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებული 2020 წლის საშტატო განრიგის საფუძველზე, გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები.

ფინანსური საქმიანობა:

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს 2020 წლის ბიუჯეტი დაგეგმვის პროცესში განსაზღვრული იყო, გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დამტკიცებული სუბსიდია. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცდა 2020 წლის ასიგნება 277 000 ლარის ოდენობით. 2020 წლის იანვარში გორის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმდა და დირექტორის მიერ დამტკიცდა 2020 წლის საშტატო განრიგი და ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში. საშტატო განრიგი განისაზღვრა 13 საშტატო ერთეულით, თანამდებობრივი სარგო - 132600 ლარით.

2020 წლის გადარიცხვითი ოპერაციები განხორციელებულია კანონმდებლობის შესაბამისად.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს მიერ 2020 წ. 5 თვის მუხლობრივად გაწეული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად (დაწვრილებით იხ. დანართი N2) :

1. შრომის ანაზღაურების მუხლში (საშტატო განრიგის მიხედვით) დაიხარჯა - 44 140 ლარი;
2. დანამატი - 510 ლარი
3. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში დაიხარჯა - 34 880 ლარი;
4. მივლინების მუხლში ქვეყნის შიგნით - 120 ლარი;
5. ოფისის ხარჯის მუხლში - 7 566 ლარი;

2020 წლის ბიუჯეტიდან დაიფარა კომუნალური გადასახადები და შესყიდულ იქნა საჭირო საოფისე ნივთები (საკანცელარიო ნივთები, საბეჭდი ქაღალდი, CD დისკები და სხვა ანალოგიური მასალები).

2017 – 2018 წლებში გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებების საფუძველზე ქვემოთ ჩამოთვლილ მოიჯარეებს დარჩათ გადასახდელი საიჯარო თანხები, სულ - 960 ლარი, მათ შორის:

1. პაატა კოლიაშვილს - 410 ლარი
2. ნიკოლოზ ვართუმაშვილს - 330 ლარი
3. ანატოლი ცოტაძეს - 220 ლარი

შესყიდვები:

2020 წლის თავდაპირველად დამტკიცებულ შესყიდვების წლიურ გეგმაში განხორციელდა ცვლილებები, რის შემდგომაც არსებული მიმდინარე წლის 15 მაისის დაზუსტებული შესყიდვების წლიური გეგმა შეადგენს - 7872 ლარს. მიმდმინარე ცვლილებები დაკავშირებული იყო აუცილებელ შესყიდვებთან, რომელიც არ იყო გათვალისწინებული 2020 წლის დამტკიცებული გეგმით.

2020 წლის მიმდინარე პერიოდში (1 იანვარი - 15 მაისი) არ განხორციელებულა კონსოლიდირებული შესყიდვა. ასევე არ განხორციელდა არც ერთი ელექტრონული ტენდერი. დანარჩენი შესყიდვები განხორციელდა გამარტივებილი წესით, რადგან შესყიდვების კანონის მიხედვით მთლიანი წლიური CPV_ოდენობა არ აღემატებოდა 5000 ლარს (ზღვარს).

რაც შეეხება შესყიდვებს, 01.01.2020-15.05.2020 ჩათვლით გამარტივებული შესყიდვის წესით განხორციელებული შესყიდვების (დადებული ხელშეკრულებები) რაოდენობა არის 7, ჯამში 6423.5 (ექვსი ათას ოთხასოცდასამი ლარი 50 თეთრი) ლარის ღირებულების.

საქმისწარმოება:

2020 წელს დაიწყო დოკუმენტაციის ახალი რეესტრის წარმოება, რომლის მიხედვითაც, 2020 წლის 15 მაისამდე სააგენტოში შემოსულია 74 (სამოცდათხუთმეტი) წერილი, გასულია 47 (ორმოცდაშვილი) წერილი, გამოცემულია 30 (ოცდაათი) ბრძანება. თითოეული მათგანი გატარდა სათანადო წესით და გადაეცა შესაბამის თანამშრომელს შემდგომი რეაგირებისთვის. ასევე უზრუნველყოფილ იქნა თანამშრომელთა სამივლინებო დოკუმენტაციის მოწესრიგება და შემდგომში ბუღალტერისთვის გადაცემა. პერიოდულად ხორციელდებოდა დაინტერესებული მხარეების მოთხოვნის შესაბამისი საჯარო ინფორმაციის მომზადება და გაცემა.

აქტივობები:

- 2020 წლის იანვარში გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს დაუკავშირდა პოლონური ასოციაცია Czajnia (პოლონეთი, ტომაშუვ ლუბელსკი) და შესთავაზა პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში წარსადგენ პროექტში პარტნიორობა. ვინაიდან, საგრანტო კონკურისის ერთ-ერთი პრიორიტეტი გულისხმობდა ოჯახური ძალადობის მსხვერპლების სოციალურ სერვისებზე წვდომის გაუმჯობესებას, ასევე შესაბამისი ცენტრების ფუნქციონირების ხელშეწყობას, სტრატეგიული განვითარების სააგენტომ, გორის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) ხელმძღვანელთან კონსულტაციების შემდეგ, პოლონელ პარტნიორებს წარუდგინა თავშესაფრის ბაზაზე მედიაციის ცენტრის დაარსების იდეა, სადაც სხვადახვა სახის ფსიქო-სოციალური და იურიდიული მომსახურების მიღება შეეძლებათ როგორც უშუალოდ ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს, ასევე ოჯახის დანარჩენ წევრებს, მათ შორის მოძალადეებსაც. როგორც პროექტის იდეის აღწერაში იყო ნახსენები, მედიაციის ცენტრის ფუნქციონირებით შემცირდება კონფლიქტები და ფატალური შედეგები, ამაღლდება ადამიანთა უფლებების დაცვის ხარისხი, რამდენადმე შეიცვლება საზოგადოებრივი ცნობიერება, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შეიქმნება პრეცენდენტი კონფლიქტების მშვიდობიანად, მხარეებისთვის მისაღები გადაწყვეტილებებით.

სტრატეგიული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადდა და პოლონურ მხარეს წარედგინა საგრანტო კონკურსის განაცხადით მოთხოვნილი საჭირო ინფორმაცია პროექტის იდეის, პრობლემის სიმწვავის, ბენეფიციარების შესახებ, ასევე შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები და კვლევები არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით.

- გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტომ, შპს "ნეიროგანვითარების ცენტრთან" პარტნიორობით შეიმუშავა და წარადგინა საპროექტო განაცხადი საქართველოში იაპონიის საელჩოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში: ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამა–(GGP).

ნეიროგანვითარების ცენტრი არის შშმ ბავშვებთან დაკავშირებული როგორც ფიზიკური რეაბილიტაციის, ისე მენტალური განვითარების 4 სახელმწიფო პროგრამის ყველაზე მსხვილი პროვაიდერი საქართველოში, რომელმაც სულ ახლახანს დააარსა ფილიალი გორში, სადაც შშმ ბავშვებს საშუალება ექნებათ მიიღონ სრულყოფილი სარეაბილიტაციო სერვისები ადგილობრივად, ვინაიდან მათ დიდ უმრავლესობას არ აქვს არც ფიზიკური და არც მატერიალური შესაძლებლობა რეგულარულად იარონ ამ სერვისების მისაღებად თბილისში.

ამასთან, გორში ამ სერვისების ხელმისაწვდომობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ოკუპირებულ ტერიტორიასთან სიახლოვის გამო.

გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს მიერ საგრანტო კონკურსში წარდგენილი საპროექტო განაცხადი გულისხმობს შპს ნეიროგანვითარების ცენტრის გორის ფილიალისთვის სარეაბილიტაციო აღჭურვილობის და შესაბამისი ტექნიკის შეძენას.

- ევროკავშირის ინიციატივია „მერები ეკონომიკური ზრდისთვის M4EG“ ფარგლებში შემუშავებული ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის (LEDP) განხოციელების მონიტორინგს, სტრატეგიული განვითარების სააგენტოსთან ერთად, უზრუნველყოფს სააგენტოს თანამშრომელი/ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ოფიცერი ზაურ როსტომაშვილი.

აღნიშნულ გეგმაზე მუშაობისას ჩატარებული მუნიციპალიტეტის განვითარების პოტენციალის სიღრმისეული კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სოფლის მეურნეობა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ყველაზე დიდი შესაძლებლობის მქონე სექტორია. თუმცა, ამავდროულად გამოვლინდა რიგი დაბრკოლებები სოფლის მეურნეობაში, მათ შორის, ადამიანური რესურსების და შესაბამისი ტექნიკის ნაკლებობა. აქედან გამომდინარე, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმაში მითითებული ერთ-ერთი აქტივობა ითვალისწინებს გორის მუნიციპალიტეტში მექანიზაციის ცენტრის (მანქანა-იარაღების / მცირეგაბარიტიანი ტრაქტორის გაქირავების ადგილის) შექმნას, რომლის მომსახურებითაც ისარგებლებს ადგილობრივი მოსახელობა და რომლის საბოლოო შედეგიც იქნება სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულთა მოგების ზრდა. გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან გამართული კონსულტაციებისას ასევე გამოიკვეთა, რომ სოფლის მეურნეობაში ჩართული ოჯახებისთვის მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე წვდომა. აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტომ, გორის მუნიციპალიტეტის მერიის სახელით შეიმუშავა და წარადგინა საპროექტო განაცხადი საქართველოში იაპონიის საელჩოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში: ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამა–(GGP). წარდგენილი საგრანტო განაცხადი გულისხმობს მექანიზაციის ცენტრის შექმნას სოფელ ტყვიავში, რომლის სასოფლო გზაც აკავშირებს 11 ადმინისტრაციულ ერთეულს და 50 სოფელს და საიდანაც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სარგებლობა მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იქნება ასევე თეძების მოსახლეობისთვისაც.

- ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა (LEDP) ითვალისწინებს გორის მუნიციპალიტეტში ბიზნესთან ურთიერთობის ოფიცრის პოზიციის შექმნას. გამომდინარე იქიდან, რომ 2017 წლის 25 სექტემბერს, გორის მუნიციპალიტეტის მერის მიერ „მერები ეკონომიკური ზრდისთვის (M4EG)" მიზნების შესასრულებლად, გორის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ოფიცრად განისაზღვრა სააგენტოს თანამშრომელი ზაურ როსტომაშვილი, გორის მუნიციპალიტეტის მერიამ მიზანშეწონილად მიიჩნია სწორედ მას დაკისრებოდა ბიზნესთან ურთიერთობის ოფიცრისთვის განსაზღვრული მოვალეობების შესრულება.

აღნიშნული მოვალეობების ფარგლებში, სტრატეგიული განვითარების სააგენტოს თანამშრომელი ზაურ როსტომაშვილი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციასთან, როგორებიცაა: თბილისის ბიზნეს აქსელერატორი „სპარკი", „ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლა", „USAID Zrda Activity in Georgia" გორის ოფისის წარმომადგენლობა, სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის სამინისტროს ადგილობრივ წარმომადგენლობასთან, პროექტის მართვის ინსტიტუტის (PMI) საქართველოს წარმომადგენლობასთან და სხვა. ასევე, რეკომენდაციებს უწევს ბიზნესით დაინტერესებულ პირებს. მიმდინარე პერიოდში, მათი ინტერესის ძირითად სფეროს წარმოადგენს სახელმწიფო და USAID-ს მიერ გამოცხადებულ საგრანტო პროგრამები და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა დეტალები.

- 2020 წლის დასაწყისში, ბიზნესთან ურთიერთობის ოფიცერმა მოამზადა სასწავლო სატრენინგო კურსი დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის თემაზე: „როგორ დავიწყოთ ბიზნესი?". ტრენინგები მიმდინარეობდა 27 იანვრიდან 13 თებერვლის ჩათვლით, სულ ჩატარდა 5 ტრენინგი გორის N 2, N 1 და N 4 საჯარო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის. ტრენინგზე მოსწავლეები გაეცნენ ბიზნესის დაწყების ძირითად საფუძვლებს და მიიღეს საბაზისო ინფორმაცია მეწარმეობის შესახებ.

- მიმდინარე წლის 21 თებერვალს გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტომ, ბიზნესთან ურთიერთობის ოფიცრის, ზაურ როსტომაშვილის ინიციატივითა და ევროკავშირის ინიციატივა „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" (M4EG) მხარდაჭერით უზრუნველყო პროექტის მართვის ინსტიტუტის (PMI) საქართველოს წარმომადგენლობის შეხვედრის ჩატარება გორის მუნიციპალიტეტში დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებთან. აღნიშნულ შეხვედრაზე მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" ინიციატივის, პროექტის მართვის საფუძვლებისა და პროექტის მენეჯერის პროფესიის შესახებ. ასევე, გაეცნენ პროექტის მართვის არსს, პროექტის მთავარ მონაწილეებს, პროექტის მენეჯერის როლს და მის უფლება-მოვალეობებს. პრაქტიკოსმა პროექტის მენეჯერებმა ისაუბრეს რეალურ მაგალითებზე მათ მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ. მოსწავლეებმა შეასრულეს პრაქტიკული სავარჯიშოები პროექტის

მართვასთან დაკავსირების. პროექტის მართვის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა ასევე ისაუბრეს პროგრამის „პროექტის ახალგაზრდა მენეჯერები/Junior Project Managers“ შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის მართვის ინსტიტუტი PMI დღეისათვის ითვლება პროექტების, პროგრამების, პორტფოლიოს მართვის სტანდარტების გამავრცელებელ და მეთოდოლოგის დამნერგავ ყველაზე აღიარებულ ორგანიზაციად მსოფლიოში.

- გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტომ, ბიზნესთან ურთიერთობის ოფიცრის ინიციატივით, თბილისის ბიზნეს აქსელერატორ "სპარკთან" ერთად უზრუნველყო მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისა და ბიზნესით დაინტერესებული პირებისათვის ტრენინგ-სემინარის ციკლის ჩატარება ციფრული მარკეტინგის შესახებ, სადაც მუნიციპალიტეტში მოქმედმა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებმა, ასევე, ბიზნესით დაინტერესებულმა პირებმა მიიღეს ინფორმაცია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: დიჯიტალ მარკეტინგის სტატისტიკები, განვითარება, მისი მნიშვნელობა და საჭიროებები; სოციალური ქსელები და მათი მნიშვნელობა, განვითარება და ტენდენციები; ქოფირაითინგი, დიზაინი და ჰაშთაგები; Google და მისი ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობები; ედს მენეჯერის ტექნიკური დეტალები, პრაქტიკა და ა.შ.

- გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან აქტიური თანამშრომლობის საფუძველზე გამოითქვა მოსაზრება, რომ გორის მუნიციპალიტეტში ჩატარებულიყო სამოქალაქო ბიუჯეტის ეფექტურობასთან დაკავშირებული კვლევა, რომელიც გამოავლენდა მოსახლეობის კმაყოფილების დონეს აღნიშნული პროექტის მიმარ თ და ასევე იმ შენიშვნებს, რომელიც უჩნდება მოსახლეობას პროცესის მსვლელობის დროს. კვლევის კითხვარი შემუშავდა არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან“ თანამშრომლობით. გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების მეშვეობით მოხდა მოსახლეების გამოკითხვა აღნიშნული კითხვარის საფუძვლზე. სულ გამოიკითხა 600-მდე ადამიანი. სტრატეგიული განვითარების სააგენტოს მიერ მოხდა კვლევის შედეგების დამუშავება და ამჟამად მიმდინარეობის კვლევის ანალიზი, შემდგომში კი იგეგმება კვლევის შედეგების პრეზენტაცია როგორც გორის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს წარმომადგენლებისთვის, ასევე სხვა დაინტერესებული პირებისთვის.

- გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტო, როგორც ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება მდგრადი ზრდისთვი“ ავტორი და კოორდინატორი, აქტიურად არის ჩართულნი აღნიშნული პროექტის განხორციელების პროცესში. 2020 წლის პირველ

კვარტალში მომზადდა პროექტის მეორე შუალედური თხრობითი და ფინანსური ანგარიში და წარედგინა ევროკავშირის წარმომადგენლობას საქართველოში. ანგარიშის საფუძველზე, მაისის თვეში განხორციელდა საგრანტო თანხის მესამე ტრანში 9717,32 ევროს ოდენობით. გარდა აღნიშნულისა, ყოველი თვის ბოლოს იგზავნება ევროკავშირის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის (M4EG) სამდივნოსთან მოკლე ანგარიში პროექტის მიმდინარეობის შესახებ.

მიმდინარე პერიოდში დასრულდა „ლომჭაბუკისა" და რუსთაველის მემორიალის სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები. გარემონტდა „ლომჭაბუკის" სკვერში მდებარე საგამოფენო დარბაზი. ასევე, გორისციხის გარშემო (ჩრდილოეთ და სამხრეთ ფერდობზე) მოეწყო საფეხმავლო ბილიკი, დასრულდა ეთნოგრაფიული მუზეუმის სახელოსნოების მშენებლობა.

განხორციელდა ტენდერები და დაიწყო სამშენებლო სამუშაოები „ძირითადი შენობისა" (რომელიც აერთიანებს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრს, საკონფერენციო დარბაზს, სატრენინგო და სამუშაო სივრცეებს, ბარგის შესანახ ოთახს და საზოგადოებრივ საპირფარეშოებს) და სავაჭრო სივრცის (სუვენირებისა და ადგილობრივი/ტრადიციული პროდუქტების სარეალიზაციო სივრცე, საზოგადოებრივ საპირფარეშოებთან ერთად) მოსაწყობად.

სავაჭრო სივრცის მშენებლობისას გამოვლინდა ძველი ნასახლარი, რის გამოც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ოფიციალურად განაცხადა უარი მშენებლობის გაგრძელებაზე. ამჟამად, მიმდინარეობს მოლაპარაკება სააგენტოსთან გამოსავლის მოსაძიებლად.

სამწუხაროდ, უშედეგოდ დასრულდა ტენდერი ველო-ბილიკების მოსაწყობად. რის შემდეგაც, სატენდერო დოკუმენტაციაში შევიდა გარკვეული ცვლილებები და იგეგმება ხელახალი ტენდერის გამოცხადება.

გამოცხადდა რამდენჯერმე უშედეგოდ დასრულდა ელექტრონული აუქციონი ეთნოგრაფიული მუზეუმის სახელოსნოების კერძო სექტორისთვის იჯარის წესით გასაცემად. საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდეგ ხელახლა გამოცხადდება აუქციონი.

2 თებერვალს, პროექტის ფარგლებში მიმდინარე საქმიანობების ადგილზე გასაცნობად, გორს ეწვივნენ ევროკავშირის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის (M4EG) წარმომადგენლები და შეხვედრა გამართეს მუნიციპალიტეტის მერთან და პროექტის განმახორციელებელ გუნდთან.

- სტრატეგიული განვითარების სააგენტო ადმინისტრირებას უწევს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების გეგმის ფარგლებში შექმნილ სასოფლო-სამეურნეო ვებ-გვერდს agrofarm.ge. პერიოდულად, სააგენტოს თანამშრომლები ინფორმაციას აწვდიან ადგილობრივ გლეხებს და ფერმერებს ვებ-გვერდის არსებობის და საგებლობის ინსტრუქციის შესახებ. ასევე, ინფორმაცია მიეწოდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, შხამ ქიმიკატებითა თუ სასუქით მოვაჭრე მეწარმეებს. სააგენტოს თანამშრომლები ვებ-გვერდზე ათავსებენ სოფლის

მეურნეობასთან დაკავშირებულ სასარგებლო ინფორმაციას, ადმინისტრირებას უწევენ agrofarm.ge-ს ფეისბუქ გვერდს.

- გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს წარდგენილი აქვს განაცხადი ევროპული სოლიდარობის ფონდის (ESC) მასპინძელი ორგანიზაციის ახალი აკრედიტაციის მისაღებად. ამასთან, განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სააგენტო გახდება ევროპული სოლიდარობის ფონდის არამარტო აკრედიტებული მასპინძელი ორგანიზაცია, არამედ გამგზავნიც, რაც მოგვცემს ქართველი ახალგაზრდების ევროპის მასშტაბით გაგზავნის შესაძლებლობას სხვადასხვა ორგანიზაციების პროექტებში მონაწილეობის მისაღებად. აღნიშნული აკრედიტაციის მისაღებად, სააგენტოს მიერ ხდებოდა დამატებით მოთხოვნილი ინფორმაციის და დოკუმენტების გაზიარება დაინტერესებულ მხარესთან, ასევე შედგა ონლაინ შეხვედრა ევროპული სოლიდარული კორპუსის პროგრამის გერმანიის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელთან, რომელიც ასევე მუშაობს SALTO EECA აკრედიტაციისა და ხარისხის მონიტორინგის სფეროში და აფასებს იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც სურთ მიიღონ აკრედიტაცია.

- გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან წერილობით მიღებული დავალებების საფუძველზე, სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომლების მიერ ხორციელდება გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო ნახაზების მომზადება, საველე აზომვითი ნახაზების მომზადება, შენობა ნაგებობების შიდა და გარე აზომვითი სამუშაოების შესრულება და შესაბამისი ნახაზების, ტექნიკური პასპორტების მომზადება, მიწის ნაკვეთების დაკოლვის სამუშაოების ჩატარება და ა.შ

სულ, აღნიშნული მიზნით, 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 15 მაისამდე გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული წერილების საფუძველზე შესრულებულია შემდეგი სამუშაოები:

- მომზადებულია საკადასტრო-აზომვითი ნახაზი - 6 84994,1 კვ.მ;
- დაკვალულია - 53 ჰექტარი მიწის ნაკვეთი;
- დაკვალულია - 45 წერტილი;
- შესრულებულია შიდა აზომვითი ნახაზები - 3242,43 კვ.მ;

გეოგრაფიულ და ინფორმაციული სისტემების უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტის ლაშა გაგნიძის მიერ ქ. გორში ჭალის დასახლებაში ჩუბინიშვილის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე დამუშავებულია უბნის გენგეგმა.

* 2020 წლის 12 მარტიდან, საქართველოს მთავრობის მიერ გაცემული რეკომენდაციის გათვალისწინებით, ახალი კორონავირუსის (COVID 19) გავრცელების პრევენციის მიზნით, სტრატეგიული განვითარების სააგენტო გადავიდა მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე დაწესებული შეზღუდვების და სიფრთხილის ზომების გათვალისწინებით, საჭირო გახდა სააგენტოს მიერ 2020 წლის პირველ ნახევარში დაგეგმილი ზოგიერთი აქტივობის გადადება/გაუქმება.

უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტოს თანამშრომლები, გორის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად, ჩართულები არიან კორონავირუსის შედეგად გამოწვეული ზიანის შემცირების ღონისძიებებში.

GORI MUNICIPALITY STRATEGIC DEVELOPMENT AGENCY
GMSDA
GMSDA

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის
სტრატეგიული განვითარების სააგენტოს
2019 წლის შესრულება

№	დასახელება	2019 წლის გეგმა	2019 წლის ფაქტი
	სულ ბიუჯეტით (2+18+19)	**287200**	**272449.07**
1	**მომუშავეთა რიცხოვნობა** (შტატით)	13	13
2	**ხარჯები** (3+4+14+15+16+17)	272900	258201.57
3	**შრომის ანაზღაურება**	134046	131443.55
	თანამდებობრივი სარგო	133076	130563.55
	პრემია	630	540
	დანამატი	340	340
4	**საქონელი და მომსახურება** (5+6+7+8+9+10+11+12+13)	138350	126484.34
	შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	15	15
5	**შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება**	106080	102795.22
6	**მივლინებები**	4250	3980.17
	ქვეყნის შიგნით	600	609
	ქვეყნის გარეთ	3650	3371.17
7	**ოფისის ხარჯები**	16220	10403.53
	საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტინების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა	1800	1790
	კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯი		
	ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთის შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯები		
	მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი	5200	1996
	ტელევიზორი		
	მაცივარი		
	კომპიუტერული ტექნიკა		
	ასლგადამღები		
	კარტრიჯების შეძენა და დატუმბვა	2800	784
	ფოტო-ვიდეო-აუდიო აპარატურა		
	ტელეფონის და ფაქსის აპარატი		
	გამათბობელი და გამაგრილებელი ტექნიკა		
	სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი	2400	1212
	საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი	500	364

	საოფისე აქვეკი		
	რბილი აქვეკი		
	სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი	500	364
	ოფისისათვის სანიტარული საგნებისა და საჭირო მასალების შეძენის ხარჯი	225	169.5
	რეკბვის, ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი		
	შენობა-ნაგებობის და მათი მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტის ხარჯი		
	საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი	1500	335
	კავშირგაბმულობის ხარჯი	1845	1822
	საფოსტო მომსახურების ხარჯი	150	70.4
	კომუნალური ხარჯი	5000	3856.63
	ელექტროენერგიის ხარჯი	3000	2857.18
	წყლის ხარჯი		
	ბუნებრივი და თხევადი არის ხარჯი	2000	999.45
	კანალიზაციისა და ასინილიზაციის ხარჯი		
	გათბობისა და გათბობის მიზნით სხვა საწვავისა და ნედლეულის შეძენის ხარჯი		
	შენობა-ნაგებობის და მათი მიმდებარე ტერიტორიების მოვლა/დასუფთავების ხარჯი		
	ოფისის ხარჯი რომელიც არ არის კლასიფიცირებული		
8	წარმომადგენლობითი ხარჯები	4500	2283
9	კვების ხარჯი		
10	სამედიცინო ხარჯები		
11	რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯები		
12	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	2000	1833.42
	საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი		
	მიმდინარე რემონტის ხარჯი		
	ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი		
	ტრანსპორტის დაქირავება (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯი	2000	1833.42
13	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	5300	5189
14	პროცენტი		
15	სუბსიდიები		
16	სოციალური უზრუნველყოფა	274	273.68
17	სხვა ხარჯი	230	0
	სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები	230	0

	გადასახადები		
	მოსაკრებლები	230	
	სხვადასხვა		
	სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები		
18	არაფინანსური აქტივების ზრდა (კაპიტალური ხარჯი)	14300	14247.5
	შენობა-ნაგებობები		
	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	11300	11247.5
	სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები	3000	3000
19	ვალდებულებების კლება		

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის
სტრატეგიული განვითარების სააგენტოს
2020 წლის შესრულება 15 მაისის ჩათვლით

№	დასახელება	2020 წლის გეგმა	2020 წლის ფაქტი 15.05.2020-ს
	სულ ბიუჯეტით (2+18+19)	**277000**	**87216.19**
1	**მომუშავეთა რიცხოვნობა (შტატით)**		
2	**ხარჯები (3+4+14+15+16+17)**	277000	87216.19
3	**შრომის ანაზღაურება**	134640	44650
	თანამდებობრივი სარგო	132600	44140
	პრემია		
	დანამატი	2040	510
4	**საქონელი და მომსახურება (5+6+7+8+9+10+11+12+13)**	142130	42566.19
	შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	15	15
5	**შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება**	106080	34880
6	**მივლინებები**	4250	120
	ქვეყნის შიგნით	600	120
	ქვეყნის გარეთ	3650	
7	**ოფისის ხარჯები**	17650	4966.19
	[illegible] ბლანკების, ბიულეტინების, საკანცელარიო წიგნების და სხვა	1800	211
	კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯი		
	[illegible] ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთის შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო-სასტამბო [illegible]		
	მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი	5200	787.5
	ტელევიზორი		
	მაცივარი		
	კომპიუტერული ტექნიკა		
	ასლგადამღები		
	კარტრიჯების შეძენა და დატუმბვა	2800	36
	ფოტო-ვიდეო-აუდიო აპარატურა		
	ტელეფონის და ფაქსის აპარატი		
	გამათბობელი და გამაგრილებელი ტექნიკა		
	სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი	2400	751.5
	საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი	1000	0
	საოფისე ავეჯი		
	რბილი ავეჯი		

	სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი	1000	
	ოფისისათვის სანიტარული საგნებისა და საჭირო მასალების შეძენის ხარჯი	250	50
	რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი		
	შენობა-ნაგებობის და მათი მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტის ხარჯი		
	საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი	1500	
	კავშირგაბმულობის ხარჯი	2650	993.54
	საფოსტო მომსახურების ხარჯი	250	
	კომუნალური ხარჯი	5000	2924.15
	ელექტროენერგიის ხარჯი	3000	1873.45
	წყლის ხარჯი		
	ბუნებრივი და თხევადი აერის ხარჯი	2000	1050.7
	კანალიზაციისა და ასინილიზაციის ხარჯი		
	გათბობისა და გათბობის მიზნით სხვა საწვავისა და ნედლეულის შეძენის ხარჯი		
	შენობა-ნაგებობის და მათი მიმდებარე ტერიტორიების მოვლა/დასუფთავების ხარჯი		
	ოფისის ხარჯი რომელიც არ არის კლასიფიცირებული		
8	წარმომადგენლობითი ხარჯები	5000	
9	კვების ხარჯი		
10	სამედიცინო ხარჯები		
11	რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯები		
12	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	2000	0
	საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი		
	მიმდინარე რემონტის ხარჯი		
	ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი		
	ტრანსპორტის დაქირავება (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯი	2000	
13	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	7150	2600
14	პროცენტი		
15	სუბსიდიები		
16	სოციალური უზრუნველყოფა		
17	სხვა ხარჯი	230	0
	სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები	230	0
	გადასახადები		
	მოსაკრებლები	230	
	სხვადასხვა		
	სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები		
18	არაფინანსური აქტივების ზრდა (კაპიტალური ხარჯი)	0	0
	შენობა-ნაგებობები		
	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		
19	ვალდებულებების კლება		